საერთო გაზეთი

№9 (690)
ოთხშაბათი
22 მარტი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

გიორგი ვოლსკი: ფაშისტური მეთოდებით მებრძოლი ადამიანები პოლიტიკურ ველზე არ უნდა იყვნენ

პოლიტიკაში უმთავრესი პასუხისმგებლობაა, პასუხისმგებლობა მათ წინაშე, ვინც ხმა მოგვცა და მათ წინაშეც, ვისაც ხმა არ მოუცია

ხაბეიშვილი არის ქურქუმალი, რომლის მსგავსიც მრავლად აზვევია გარშემო „ნაცმოძრაობ-ას“...მერაბიშვილი კი, რომლის კისერზეც ათეული ადამიანის ცოდვაა, ცდილობს, ეს ქურქუმალი ეროვნული მოძრაობის სიმბოლოდ აქციოს, – აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ოპოზიციის მიერ 9 აპრილს დაანონსებული აქციის შესახებ კომენტირებისას.

როგორც გიორგი ვოლსკი „საერთო გაზეთთან“ განმარტავს, რუსეთ-უკაინის ომი იქნება „ომი ბოლომდე“ და მისი შეჩერება მოლაპარაკების საფუძველზე, უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია.

რატომ ხედავს ბირთვული ომის საფრთხეს, რა ცვლილებები შედის საარჩევნო კოდექსში და უნდა გაიზიაროს თუ არა პასუხისმგებლობა განათლების სამინისტრომ იმ მასწავლებლის გამო, რომელმაც მოსწავლეზე ფსიქოლოგიურად იძალადა, ინტერვიუდან შეიტყობთ

ხელისუფლებაავ, ჩვენც ჟურნალისტები ვართ!

გოგა ხაინდრავა: ევროპა ჩვენი სახლია და ამის დადასტურება ევროჩინოვნიკებისგან არ მჭირდება

კრებსით კუბილიუსებს რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვთ. მათგან განსხვავებით ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ნამდვილად საღ აზრზე და გონებაზეა. მას არც ღირსება დავიწყებია, არც რწმენა, არც კულტურა, არც წარსული და მომავალსაც უფრთხილდება.

მაია ნიკოლეიშვილი: SOS! – ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გონება და სულები გადასარჩენია!

წიგნს თუ დაშორდება, მერე ადამიანს კლიპური აზროვნება უყალიბდება და ალცჰაიმერიც ადვილად ემართება. სერიალები აზროვნების უნარს აქვეითებს, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტებაა. აი, „ტიკ-ტოკი“ კი სერიოზულ კლიპურ აზროვნებას აყალიბებს, რა დროსაც პიროვნებას შინაარსის გააზრება უჭირს.

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

ავაზაკებთან ალიანსში მყოფი დასავლეთი თავის პირმშოებს ვერ გაამტყუნებს

დონალდ ტრამპი: მე დამაპატიმრებენ

ნეოლიბერალიზმიდან იდიოტიზმამდე...

დავით კალანდია: ბოლო დროს მგონია, რომ მიშა აღარ არის პირველი მევიოლინე

ფაშისტური მეთოდებით მებრძოლი ადამიანები პოლიტიკურ ველზე არ უნდა იყვნენ

ხაბეიშვილი არის ქურქუმალი, რომლის მსგავსიც მრავლად ახვევია გარშემო „ნაცმოძრაობას“...მერაბიშვილი კი, რომლის კისერზეც ათეული ადამიანის ცოდვაა, ცდილობს, ეს ქურქუმალი ეროვნული მოძრაობის სიმბოლოდ აქციოს, - აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ოპოზიციის მიერ 9 აპრილს დაანონსებული აქციის შესახებ კომენტირებისას.

როგორც გიორგი ვოლსკი „საერთო გაზეთთან“ განმარტავს, რუსეთ-უკაინის ომი იქნება „ომი ბოლომდე“ და მისი შეჩერება მოლაპარაკების საფუძველზე, უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია.

რატომ ხედავს ბირთვული ომის საფრთხეს, რა ცვლილებები შედის საარჩევნო კოდექსში და უნდა გაიზიაროს თუ არა პასუხისმგებელობა განათლების სამინისტრომ იმ მასწავლებლის გამო, რომელმაც მოსწავლეზე ფსიქოლოგიურად იძალადა, ინტერვიუდან შეიტყობთ:

- ბატონო გია, გვიამბეთ, რა კეთდება ამჟამად ქვეყანაში სასიკეთო და მნიშვნელოვანი?

- უამრავი საკითხია ისეთი, რაზეც ვმუშაობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკურმა პერიპეტიებმა ბევრი სიკეთე გადაფარა. ვმუშაობთ სოციალურ თემებზე, სხვადასხვა მიმართულებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ყოველდღიურობისათვის. მოგეხსენებათ, მცირედით, მაგრამ მედიკამენტების გაიაფება შევძელით. შემოვიტანეთ იაფი მედიკამენტები თურქეთიდან და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. მცირედ, მაგრამ საწვავის ფასმაც დაიკლო. ამ საკითხზეც ვაგრძელებთ მუშაობას. პროდუქტის ფასი მთელ მსოფლიოში გაზრდილია, მაგრამ ჩვენ, შეძლებისდაგვარად, მის შემცირებას და დასტაბილურებას ვცდილობთ. შევთანხმდით ახალი სკოლების მშენებლობაზე და ამ საკითხზე მუშაობას ვიწყებთ. იწყება ანაკლიის პორტის მშენებლობა, რითაც საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია კიდევ უფრო გაძლიერდება. ზოგადად, ეკონომიკური ზრდის ტემპი შენარჩუნებულია და, რაც მთავარია, საგარეო თუ საშინაო გამოწვევების მიუხედავად, საქართველო სტაბილურ განვითარებას ინარჩუნებს.

- ნამდვილად დიდი ხმაური და გაუგებრობა გამოიწვია ე.წ. აგენტების კანონმა. ჩასაფრებული „შინაურებიც“ თითქოს ამას ელოდნენ...

- სამწუხარო ფაქტია ის, რომ ოპოზიციის მხრიდან კონკრეტულ თემებზე კი არ მიდის მსჯელობა და დისკუსია, აზრის გაცვლა-გამოცვლა, რაზეც გამუდმებით და დაუზარლად მუშაობენ, ესაა საზოგადოების დაპირისპირების ორგანიზება. რასაკვირველია, ოპოზიცია უნდა იყოს კრიტიკული, აქტიური, უნდა გაფხიზლებდეს, გიპირისპირდებოდეს პროგრამებით გარკვეულ თემებზე, საშინაო-საგარეო პოლიტიკა იქნება ეს, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება თუ სხვა... საზოგადოებისთვის თავის მოწონებას უნდა ცდილობდნენ, რათა არჩევნებზე სათანადო ხმები მიიღონ. მაგრამ არა, - მათ მხოლოდ დესტაბილიზაციით დაპირისპირება გამოსდით.

- და მაინც, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გამოთხოვით, მხოლოდ დათმობაზე წახვედით, თუ თქვენთვისაც მიუღებელი იყო მისი გარკვეული პუნქტები?

- როგორც ნახეთ, საზოგადოების ნაწილსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ისეთი მკვეთრი დაპირისპირება დაიწყო, შეიძლებოდა ამას დამატებითი სირთულეები გამოეწვია. გარდა ამისა, საუბარია არამხოლოდ იმაზე, რომ პროპაგანდისტებმა შეძლეს საზოგადოების და მათ შორის, ახალგაზრდების მობილიზება, არამედ, ჩვენც მნიშვნელოვნად დავაკელით კომუნიკაცია საზოგადოებას, სპეკულაციის საშუალება დავუტოვეთ ადამიანებს და ვნახეთ კიდევაც ისეთები, ვისაც საერთოდ არ აინტერესებდა არანაირი კანონი. აინტერესებდათ მხოლოდ საზოგადოების მობილიზება უმართავი პროცესების განსავითარებლად.

ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებში გადაწყვეტილების მისაღებად, ხალხს უნდა ჰქონდეს მეტი ინფორმაცია. მეტი განმარტება იყო საჭირო ჩვენი მხრიდან, მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან, ქვეყნებთან, ვინაიდან ამ კანონს აბსოლუტურად არაფერი რუსულ თემასთან საერთო არა აქვს. თუმცა, ნებისმიერი კანონი შეგიძლია გამოიყენო, როგორც დემოკრატიულმა, ასევე არადემოკრატიულმა სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში რუსეთს ვგულისხმობ. საბოლოოდ კი, მთავარი მაინც არის ჩვენი საზოგადოება. დაიძაბა საზოგადოება, ახალი დაძაბულობის კერები შეიქმნა, და რასაკვირველია, კანონის ჩაგდების მიზეზიც ეს იყო.

თუმცა, ცუდი არ იქნებოდა, რომ გამჭვირვალედ სცოდნოდა ყველას ყველაფერი: რომელ ორგანიზაციას ვინ აფინანსებს, რომელი იმსახურებს ქართველი საზოგადოებისაგან მადლობას... და ასეთი მართლაც ბევრია, ვინც შესანიშნავ პროექტებს ახორციელებს. არის ორგანიზაციები, ვისაც მოეთხოვება, ანგარიში წარმოადგინონ იმის თაობაზე, თუ რაში აძლევს დონორი ფულს და რეალურად რა საქმით არის დაკავებული. მაგალითად, არსებობს ორგანიზაცია, რომელიც ქალთა უფლებებს უნდა იცავდეს, მაგრამ დღენიადაგ ქართული ეკლესიის გინებით არის დაკავებული. ასე რომ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვის მადლობა ეკუთვნის და ვინ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

- საარჩევნო კოდექსში სიახლე შედის, როგორც თქვენ უწოდეთ, - რევოლუციური სიახლე. კონკრეტულად რომ გვითხრათ მის შესახებ...

- ეს სიახლეც, ფაქტობრივად, მათ გარეშე მივიღეთ, რადგან რადიკალური ოპოზიცია, რომელმაც უკვე პარტიულობის ნიშანიც დაკარგა და ორგანიზაციად გადაიქცა, არც ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა. დიახ, რევოლუციური შინაარსის საარჩევნო კანონი მივიღეთ მათი მონაწილეობის გარეშე და უკვე გადავწყვიტეთ კიდევაც, რომ საქართველოში გვექნება პროპორციული არჩევნები, რომლის 90 პროცენტი ჩატარდება ელექტრონულად, სადაც ლაპარაკიც კი, გაყალბებაზე, იქნება უსაფუძვლო. თუმცა აქაც, საბოლოო გადაწყვეტილებას, საზოგადოება მიიღებს.

პოლიტიკაში უმთავრესი პასუხისმგებლობაა, პასუხისმგებლობა მათ წინაშე, ვინც ხმა მოგვცა და მათ წინაშეც ვისაც ხმა არ მოუცია

გასაგებია, რომ ოპოზიციამ არჩევნების თემა, ფაქტობრივად მოხსნა დღის წესრიგიდან და მხოლოდ რევოლუციური სცენარის განვითარებაზე საუბრობს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ცივილიზებულ სამყაროს ეკადრება, რასაც ჩვენი ერი და ხალხი იმსახურებს...

ნურავინ იტყვის, რომ პოლიტიკაში პასუხისმგებლობა არ არის უმთავრესი. პასუხისმგებლობა იმ ადამიანების წინაშე, ვინც ხმა მოგცა და მათ წინაშეც, ვისაც ხმა არ მოუცია. საზოგადოება შეიძლება სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების და შეხედულების იყოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი შვილები საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში ერთად სწავლობენ, ერთ მოედანზე თამაშობენ, ერთ ბიბლიოთეკაში კითხულობენ და ერთ აუდიტორიაში უსმენენ ლექციებს... ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!

- როგორ შეაფასებდით ჰააგის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც, ვლადიმერ პუტინი სამხედრო დამნაშავედ გამოცხადდა და მისი დაპატიმრების ორდერი გაიცა?

- უპირველესად, უნდა ითქვას, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების დღიდან, საქართველო, სხვა 37 ქვეყანასთან ერთად, მუშაობდა ჰააგის ტრიბუნალისთვის რუსეთის საკითხის გადასაცემად. რასაკვირველია, ჩვენ საკმაოდ მძიმე გამოცდილება გვაქვს ოკუპაციის თუ ტერიტორიების დაკარგვის და მყარი პოლიტიკური პოზიციით მივმართეთ ჰააგის სასამართლოს, უკრაინაში შეჭრის გამო და მსხვერპლის გამო, რაც ამ ქმედებამ გამოიწვია.

ეს რაც მოხდა, რომ გაიცა სანქცია პუტინის წინააღმდეგ, არის დაწყებული გამოძიების ერთ-ერთი „ქეისი“, რომელიც ბავშვების ცნობილ თემას ეხება.

საკითხი მთლიანად შესწავლილი არ არის, გამოძიება ჯერ კიდევ მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს.

არსებობს გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე და ადრე თუ გვიან ეს აღსრულდება, მაგრამ არსებობს პოლიტიკური მხარეც, ანუ გადაწყვეტილება სამართლებრივად გამართულია, მტკიცებულებებით გამყარებულია, თუმცა, ამას აქვს ძალიან სერიოზული პოლიტიკური ასპექტი. ანუ, ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ომი შეიძლება შეჩერდეს მოლაპარაკებებით, ან გარკვეული პირობებით, რეალობას მოკლებულია. ეს უკვე იქნება ომი ბოლომდე. დაპირისპირების ასეთი ხარისხი, რაც დღესდღეობით სახეზეა, საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე რეგიონს და მთელ მსოფლიოს.

სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოიგო ჰააგის

სასამართლო და დაამტკიცა, რომ აგრესორი მხარე იყო დამნაშავე და არა ქართველი ჯარისკაცები, რასაც ხელი მოაწერა სააკაშვილმა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოიგო ასევე სტრასბურგის სასამართლო, რუსეთის წინააღმდეგ...

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოსგან განსხვავებით, ბევრმა სახელმწიფომ, რუსეთის ურაინაში შეჭრის თაობაზე, ჰააგის სასამართლოში გასაგზავნ მიმართვას ხელი ვერ მოაწერა. მათ შორის იყო მოლდოვა. მათ ამის გამო ვერანაირ მორალურ პასუხისმგებლობას წავუყენებთ, მაგრამ უკრაინის დამოკიდებულებაა გულსატკენი. ელჩის გაწვევას და იმ უნდობლობას ვგულისხმობ, რაც პოლიტიკური, იურიდიული თუ ჰუმანიტარული მხარდაჭერისთვის გამოგვიცხადეს. ასევე, ძალიან უცნაურია, რომ მოლდოვას, რომელიც დსთ-ის წევრი ქვეყანაა და დღემდე ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს რუსეთის წინააღმდეგ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს და საქართველოს - არა! იმის თქმა მინდა, რომ სრულიად გაურკვეველი და არაობიექტური პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს.

- არ ფიქრობთ, რომ რადიკალური ოპოზიციის თავდაუზოგავი „მონდომების“ შედეგიცაა, რომ საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ვერ მიიღო?

- რა თქმა უნდა, ოპოზიციამ იმ პერიოდში საკუთარი თავი ბოლომდე წარმოაჩინა და სრული ლუსტრაცია მოხდა იმისა, ვისთან გვაქვს საქმე. მე ვიტყოდი, რომ ეს იყო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. **რადიკალურ ოპოზიციას ოპოზიციაც აღარ ჰქვია უკვე, ეს არის ექსტრემისტული ორგანიზაცია.**

მინდა შეგახსენოთ, რომ რუსეთი გამოვიდა ბირთვული იარაღის შეზღუდვის შეთანხმების ხელშეკრულებიდან, რაც მუქარის ტოლფასია და იმას ნიშნავს, რომ უკვე ბირთვული დარტყმის საფრთხეც არსებობს. გარდა ამისა, იქ კიდევ ისეთი პროცესები მიმდინარეობს, რომ ცეცხლის ჩაქრობას კი არა, მეტ „სიმხურვალეს“ უნდა ველოდოთ. ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა შევიგნოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას და არამხოლოდ ხელისუფლებას, ახლა კიდევ მეტად, ვიდრე ოდესმე, საგანგებო პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად.

- სააკაშვილის ხელისუფლება რომ იყოს ქვეყნის სათავეში, როგორ იმოქმედებდა ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ბატონო გია?

- სააკაშვილის ხელისუფლებას დიდი ცოდვა აწევს და თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ოკუპირებულია, 30-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტი კი გადაცემულია რუსეთისთვის, არის მიხეილ სააკაშვილის უშუალო „დამსახურება“. გარდა ამისა, სწორედ მიხეილ სააკაშვილმა მოაწერა ხელი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც საქართველოს ბრალეულობას აღიარებდა ამ ომში და მადლობა ღმერთს, რომ ხელისუფლება შეიცვალა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდადებული საქართველო, ტერიტორიებდაკარგული საქართველო, იქნებოდა გაცილებით მძიმე მდგომარეობაში.

არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო არის ერთადერთი ალტერნატული დერეფანი ენერგორესურსების მისაწოდებლად, კასპიის რეგიონიდან ევროპის ბაზრებზე. ეს ფუნქცია დღეს საქართველოს აღარ ექნებოდა, ეკონომიკური ზრდა და ყოველგვარი კეთილდღეობა იქნებოდა მიუღწევადი და ქვეყანა ცეცხლის ალში იქნებოდა გახვეული, ახლა რომ სააკაშვილის ხელისუფლება იყოს სათავეში.

- არ შემიძლია ერთი აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ არ გკითხოთ. კერძოდ, დეპუტატ მიხეილ ყაველაშვილის შვილის შესახებ, რომელიც მასწავლებელმა სოციალურ ქსელში მონიშნა, როგორც „მოღალატის შვილი“...

- ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, სამწუხაროდ, როცა ჩვენი დეპუტატების შვილებს და ოჯახის წევრებს ავიწროვებენ. იყო სხვა შემთხვევებიც კონკრეტული დეპუტატების შვილებთან მიმართებით. ამას ლიბერალებად შენიღბული ფაშისტები აკეთებენ. ეს არის არაადამიანური, საქართველოსთვის არადამახასიათებელი, ქართველი ერისთვის, ქართველი ადამიანისთვის მიუღებელი, შემარცხვენელი მოქმედება, რომელიც კონკრეტულმა ადამიანებმა ჩაიდინეს და ვფიქრობ, უფლის წინაშეც სერიოზული პასუხისმგებლობით წარსდგებიან ამის გამო.

- წლების განმავლობაში უამრავი ტრენინგი, გამოცდა უტარდებათ, შერჩევა-გადარჩევა მიდის მასწავლებლების და მაინც პოლიტიზებულია საგანმანათლებლო დაწესებულებები. არ მიგაჩნიათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, განათლების სამინისტროსაც გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება?

- ვერ დაადანაშაულებ განათლების სამინისტროს იმის გამო, რომ სადღაც შეიძლება ასეთი მასწავლებელიც გამოერიოს. რადგან ის სტანდარტული შეფასებებით ვერ მიუდგება პედაგოგებს. ადამიანმა დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა, დიდი ცოდვა ჩაიდინა მოზარდის მიმართ, არამხოლოდ ღმერთის, არამედ, საქართველოს წინაშე. მე ვინატრებდი, რომ ეს ცოდვა არ დახვდეს წინ არავის, არც მას პირადად და არც მისი ოჯახის წევრებს. მსგავსი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაში, ასეთი ფაშისტური მეთოდებით მებრძოლი ადამიანები არ უნდა იყვნენ პოლიტიკურ ველზე, მით უფრო, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მოზარდს და ახალგაზრდა თაობას ეხება.

- ბატონო გია, ლევან ხაბეიშვილი მოუწოდებს და „აფრთხილებს“ ხელისუფლებას, უსწრაფესად გაიცეს თანხმობა, რათა პოლონელმა ექიმებმა ხვალვე შეძლონ საქართველოში ჩამოსვლა მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ...

- ჯერ ერთი, პოლონელებზე ნაკლები განათლების, კომპეტენციისა და შესაძლებლობების მქონე ექიმები ჩვენ არ გვყავს, არც სამედიცინო დაწესებულებები და აპარატურა გვაქვს მათზე ნაკლები. ამის მიუხედავად, თუკი ნდობის თემაზეა ლაპარაკი, ჩამოიყვანონ ნებისმიერი ქვეყნიდან ვინც უნდთ და მათ ჩააბარონ სამკურნალოდ სააკაშვილი. ხაბეიშვილი ახლა 9 აპრილს დაანონსებული აქციისთვის ემზადება და, რასაკვირველია, ცდილობს, მეტად იხმაუროს, მეტი გაუგებრობა და აგრესია გამოიწვიოს, მეტი დეზინფორმაცია გაავრცელოს.

- თავისთავად, ლიდერის განწყობა პარტიის დანარჩენ წევრებზეც მოახდენს გავლენას...

- ხაბეიშვილი არ არის არანაირი ლიდერი, ეს არის ქურქუმალი, რომლის მსგავსიც მრავლად ახვევია გარშემო „ნაცმოძრაობას“... იუმორის გრძნობა უნდა შეინარჩუნო როცა ამ ადამიანებს უყურებ, მაგრამ სირცხვილია, არ უხდება ჩვენს ქვეყანას ამ საკითხში იუმორი.

უბრალოდ, კეზერაშვილიც და მერაბიშვილიც ფიქრობდნენ, რომ ხაბეიშვილი ეფექტური იქნებოდა ხალხის დასარაზმად, მაგრამ თავი მალევე გაამჟღავნეს და გაირკვა, რომ ამ ყველაფრის უკან ვანო მერაბიშვილი დგას. დღესაც ის მართავს პროცესებს და ცდილობს, თავგზა აუბნიოს იმ ახალგაზრდებს, ვისაც არანაირი ემოციური კავშირი არა აქვთ არც სააკაშვილთან, არც ტერორთან, რომელსაც ვანო მერაბიშვილი უძღვებოდა წინ, არც მიტინგებზე დახოცილი ადამიანების ოჯახების ვარამთან, არც ციხეებში ნაწამებ ადამიანებთან...

- ანუ, მიგაჩნიათ, რომ ნაცმოძრაობის ფორმალური ლიდერი ვანო მერაბიშვილია?

- რასაკვირველია! თვითონვე გასცა საკუთარი თავი და „გაიშიფრა“. დღეს სწორედ ეს ვანო მერაბიშვილი ამბობს, რომ თურმე პოლიციას, რომელსაც მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს და ცოცხლად წვავდნენ, ძალა გადაუჭარბებია და წყლის ჭავლი გამოუყენებია. ეს კაცი, რომლის კისერზეც ათეული ადამიანის ცოდვაა, რომლის უშუალო ბრძანებითაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაზარალდა, რომელმაც მიტინგზე ორი ადამიანი არათუ მოკლა, მათ ოჯახებს კუბოს სახურავის ახდაც აუკრძალა - სამარცხვინოდ ამტკიცებს, რომ პოლიციამ ძალას გადააჭარბა მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ.

ეს ადამიანი კიდევ გამოდის და 9 აპრილს აპირებს აქციის ჩატარებას, ანუ უნდა, რომ ეროვნული მოძრაობის ნიშნით შარავანდედი მოისხას, სიმბოლოდ კი ქურქუმალი აქციოს.

ასეთი ისტორიისა და კულტურის მქონე დახვეწილ ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს ეს ადამიანები არ ეკადრება. ადამიანები, რომლებსაც უამრავი სისხლი აქვთ დაღვრილი და ისევ სისხლისღვრა სწყურიათ, რომლებიც ფაშისტური მეთოდებით მართავდნენ ქვეყანას და უნდათ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, რათა საქართველო ცეცხლის ალში გახვიონ. ესაა მათი მთავარი ამოცანა.

ნონა ქარქაშაძე

ირაკლი ღარიბაშვილი: დღეს მსოფლიო, მთელი სამყარო დგას მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე

ეს შეფასება გადაჭარბებული არ არის, ეს არ არის სპეკულაცია. ჩვენ ვუყურებთ დღითი დღე უფრო მეტ კონფრონტაციას, მეტ დაძაბულობას და მეტ ესკალაციას. ამ პირობებში, ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის მთავარი საზრუნავი და ჩვენი ხალხის დაკვეთა არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება და ჩვენი ქვეყნის გადარჩენა.

მეტროსადგურ „გოცირიძის“ სრული რეაბილიტაცია დასრულდა და სადგური მგზავრებს ჩვეულ რეჟიმში ემსახურება

განახლებული მეტროსადგური დღეს დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დაათვალიერა.

„მეტროსადგურ „გოცირიძის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. როგორც იცით, მთელი ამ ხნის განმავლობაში ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები მიმდინარეობდა. იყო გარკვეული ხარვეზები, გამოსასწორებელი იყო რაღაც დეტალები, რაც, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნა. პირველ რიგში, მინდა ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას, ყველა იმ ადამიანს, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტით, კონკრეტულად კი, მეტროპოლიტენით სარგებლობს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში დახურული იყო აღნიშნული მეტროსადგური. ძალიან ბევრჯერ მომიწია განმარტებების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო სამუშაოების შეფერხების მიზეზი და რატომ იყო ამხელა პრობლემა. სამწუხაროდ, არიან ისეთი კომპანიები, რომლებიც ხელშეკრულების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს არ და ვერ ასრულებენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პრობლემა იყო ის, რომ ორივე კონტრაქტორი კომპანიის შეცვლა მოგვიწია და ამის გამო გაიწელა დრო. ხვალიდან, აღნიშნული მეტროსადგური მოემსახურება მგზავრებს“, - განაცხადა კახა კალაძემ.

სადგურის რეაბილიტაციის ფარგლებში, განახლდა ინტერიერი და ექსტერიერი, სრულად გადაიხურა მგზავრთა ჩასასხდომი ბაქანი და ჩატარდა მისი გამაგრების სამუშაოები. ასევე, სადგური ადაპტირდა შშმ პირებისთვის: დამონტაჟდა ორი ლიფტი და მოეწყო სპეციალური ტაქტილური ბილიკები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა, როგორც სადგურის ვესტიბიულს, ასევე ბაქანს. გარემონტდა თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ოთახები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, შეიცვალა გახმოვანების სისტემა. სრულად გამოიცვალა სადგურის ელექტროსისტემები. რეაბილიტირდა მგზავრთა მისაღები ბაქანიც. პროექტის ბიუჯეტმა 4.7 მლნ ლარი შეადგინა.

ევროპა ჩვენი სახლია და ამის დადასტურება ევროჩინოვნიკებისგან არ მჭირდება



საერთო გაზეთის" სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:

— ბატონო გოგა, საქართველოს ევროინტეგრაცია ხან სააკაშვილის ბედზეა დამოკიდებული, ხან გვარამიას გათავისუფლებაზე, ხან უცხოეთის გავლენის აგენტების გამჭირვალობის შესახებ კანონის უკან გაწვევაზე. რა უნდა ევროპას?

— ევროპას არა, ევროს ბიუროკრატებს, თვითონ იციან რო, რა უნდათ? აუცილებელია, ეს ორი ცნება - ტრადიციული ევროპა და ევრობიუროკრატია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ. ევროპარლამენტში მოკალათებული, კორუფციაში ჩაფლული, პოლიტიკურად ანგაჟირებული პერსონები, ევროპაში ვერანაირ პოლიტიკურ კლიმატს ვეღარ ქმნიან - მათ რასაც ჩასძახებენ, იმას ასრულებენ ისე, რომ არც კი კითხულობენ რაზე აწერენ საკუთარ გვარსა და სახელს. ევროპარლამენტი ბაზრობას დაამსგავსეს, საიდანაც ევროს ან დოლარს მოიპოვებენ. როგორც ირკვევა, უარს არც რუბლზე ამბობენ. ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი და მთელი რიგი დეპუტატები უკვე დააპატიმრეს. ურსულა ფონ დერ ლაიენი "ფაიზერთან" კორუფციულ გარიგებაშია ეჭვმიტანილი. მისი, გერმანიის რეგიონალური დონის ფარმაცევტი ქმარი, უეცრად, მსოფლიოში უდიდესი ფარმაცევტული კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი გახდა. თანამედროვე ევროპული ბიუროკრატია გადაგვარდა. თავის დროზე რომში, კალიგულამ სენატში ცხენი შეიყვანა და სენატორად გამოაცხადა, რასაც სენატი დაეთანხმა. ათენში სოკრატეს სიკვდილით დასჯას, დეპუტატების უმრავლესობა ტაშით შეეგება. შედეგმაც არ დააყოვნა. დღესაც იგივე ხდება. ამ სტრუქტურებმა თავი ამოწურეს. როდესაც 500-ზე მეტი დეპუტატი არც კი კითხულობს რაზე იწევს ხელს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ იქ საღი აზრი, ღირსება, პოლიტიკური სიმწიფე აღარ არსებობს. ეს ჩვენთვის უაღრესად საყურადღებოა, რომ თავი რაიმე გაუგებრობაში არ გავყოთ. ჩვენ ერთხელ უკვე ვიყავით ერთ კავშირში და კარგად გვახსოვს, რა შედეგი მოუტანა საქართველოს იქ ყოფნამ. ამ „ევროსდეპუტატებს" კუბილიუსებს და ვიენკიუჩენებს, გარბაჩოვის „პერესტროიკის" პარტიის წევრებს, ფოტიგებს და კრამონებს ჰგონიათ, რომ უფლება აქვთ შეურაცხყოფა მოგვაყენონ, თითი დაგვიქნიონ, გვასწავლონ როგორ ვიცხოვროთ და ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ კანდიდატებიც არ ვართ ამ კავშირის, მერე რაღას იზამენ?! სად ხედავთ იქ ტრადიციულ, კულტურულ, განათლებულ ევროპას?! მაინც და მაინც კარგად, საქმე არც იქ არის. პოლიტიკური ელიტის დეგრადაციამ ევროპის კონტინენტზე სერიოზული კრიზისი გამოიწვია. ეს ევროპულ საზოგადოებას აწუხებს. ვანდალიზმმა მოიცვა ევროპა. საფრანგეთში — პარიზის გულში, ელისეის მინდვრებზე, დემონსტრანტები ძარცვავენ მაღაზიებს, ანგრევენ ძეგლებს, წვავენ მანქანებს. იგივე ხდება გერმანიაში და სხვაგან. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგადად კაცობრიობამ თავისი განვითარების ძალიან საფრთხისშემცველ მიჯნას მიაღწია.

— რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტში დებატები გაიმართა, სადაც კრამონმა აღნიშნა: საქართველოს მთავრობა, საკუთარი ხალხის ნებას ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით, საბოტაჟს უწყობსო. კუბილიუსმა კი ივანიშვილი, პირდაპირ, კანდიდატის სტატუსის მიღების ბარიერად დაასახელა. რასთან გვაქვს საქმე?

— ეს არის უგუნურება და თავხედობა. ახალი "კომინტერნი" (კომუნისტური ინტერნაციონალი) ჩამოაყალიბეს. სხვა ქვეყნის ხალხის პირით მოსაუბრეს, როგორც წესი, საკუთარი ხალხის ნდობა აქვს დაკარგული და თავის უფლება-მოვალეობებში ვეღარ ერკვევა. ვინ ეკითხებათ მათ, ან რა იციან კრამონებმა ქართველი ხალხის წადილი! ვინ არის კუბილიუსი, რომ ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს?! ქართველი ხალხის სახელით გველაპარაკება კელი დეგნანიც, არადა სჯობდა ამერიკელი ხალხის სახელით ელაპარაკა, მაშინ იქნებ კიდეც გაეაზრებინა რა ევალება და რა მიზნით მოავლინა აქ ამერიკელმა ხალხმა. დეგნანმა სჯობს ქართველ ხალხს ის აგვიხსნას, აშშ-ში რა ხდება. დარწმუნებული ვარ თითის ქნევის - ასე და ასე უნდა მოიქცეთო და ჭკუის დარიგების მადა წაუხდება. დეგნანიც და ევროპარლამენტარებიც სჯობს გაერკვნენ საკუთარ ქვეყნებში რა ხდება. შეხედეთ, ამერიკაში მიმდინარე პროცესებს — დამფუძნებელი მამები, ალბათ, საფლავში ტრიალებენ. პრიორიტეტი არა კანონი, სამართალი,

ამას სტუდენტური მოძრაობა კი არა, ვანდალიზმი და ხულიგნობა ჰქვია!

სიტყვის თავისუფლებაა, არამედ ვიწროპარტიული ინტერესები და აღქმები. წამყვანი ტელევიზიები და გაზეთები სიცრუეს ტირაჟირებენ. აშშ-ს მოქმედ პრეზიდენტს ცოლი საკუთარ დაში ეშლება, სასეირნოდ გასული თეთრ სახლში შესასვლელ კარებს ვერ აგნებს. იმის ნაცვლად, რომ ამაზე წუხდნენ, გამუდმებით ქართველი ერის სახელით ლაპარაკობენ. არადა, ქართველი ხალხის ინჩი-ბინჩი არ გაეგებათ — არც აწმყოსი, არც წარსულის, არც ისტორიის და ღირებულებების. ერთადერთი რაც იციან, ალბათ, ხინკალია. ქართველი საზოგადოება არც ბრმაა და არც ყრუ. საქართველომ 21-ე საუკუნემდე მამა-პაპათა ადათ-წესებითა და ქრისტიანული მორალით მოაღწია. დეგნანისთვის ეს მორალის საწყისი, როგორც ჩანს, დავიწყებულია. ხანდახან, საკუთარ ფულს მაინც დახედოს, სადაც წერია - "ჩვენ გვჯერა ღმერთის." ეჭვი მეპარება, დეგნანს ან იმ ევროპარლამენტარებს, რომლებიც რეზოლუციებს წაუკითხავად იღებენ ან ღმერთის ან საერთოდ რამის სჯეროდეთ!

— თანაც, საქართველოში კონკრეტული პირებისთვის ინდივიდუალური სანქციების დაწესებას ითხოვენ. კუბილიუსი ივანიშვილს ქვეყნის მიტაცებაშიც კი დებს ბრალს...

— ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარეთ გარბოდაო, ხომ გაგიგონიათ. მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა. კუბილიუსებს რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვთ. მათგან განსხვავებით ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ნამდვილად საღ აზრზე და გონებაზეა. მას არც ღირსება დავიწყებია, არც რწმენა, არც კულტურა, არც წარსული და მომავალსაც უფრთხილდება.

— „უცხოური გავლენის აგენტების გამჭირვალობის შესახებ" კანონპროექტის განხილვას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. საბოლოოდ, პარლამენტმა კანონპროექტი უკან გაითხოვა. რამდენად სწორი იყო ეს გადაწყვეტილება?

— ამ კანონპროექტმა თავის საქმე უკვე გააკეთა! — ყველამ კარგად დავინახეთ, ვინ არიან გავლენის აგენტები, რაღა გამჭირვალობა გვინდა! შუბლზე აწერიათ რასაც წარმოადგენენ, განსაკუთრებით, პარლამენტარი ალქაჯები. ამ „უკუღმა არასამთავრობოე" - ლომჯარიებს, გიგაურებს, ტუღუშებს და სხვებს. კაენის ნიშანი ამოიტვიფრეს. ისინი საცვლებიდან ამოხტდნენ. წარმოიდგინეთ, 30 წლის მანძილზე რა თანხებია დახარჯული უსამშობლო მანქურთების გამოზრდაში, რომელთათვისაც ღირსება, სიმართლე, სამშობლო, მისი მომავალი, აწმყო ყველაფერი ანაზღაურებით ანუ მამონით განისაზღვრება. ცრუობს დეგნანი, ცრუობს ნედ პრაისი, ევროკავშირის პარლამენტარები და ბოსები. გარშემო სიცრუე, სიცრუე და კიდევ ტოტალური სიცრუე. რამდენიც არ უნდა ითვალთმაქცოს ლაშა ბუღაძემ მიტინგებზე, საზოგადოებამ ხომ მშვენივრად იცის, რომ კანონი რუსული არ იყო! ერთი ამერიკული იყო, მეორე - ქართული! ეს იყო შესაძლებლობა, რათა საზოგადოებას სცოდნოდა — ვის ინტერესებს ემსახურებიან ეს ჭინკები. საინტერესოა, ვინ დგანან მათ უკან, ფულს რაში იხდიან, რა უნდათ ჩვენგან? ერთი პროექტი ხომ ვნახეთ - გირჩი-შარვალჩახდილები რუს ოკუპანტებს „ზადნით" როგორ უტევდნენ! რა უნდათ, რომ მათ მივბაძოთ, თუ როგორც სააკაშვილი 2008 წელს დაეცა ბრძოლის ველზე, ჩვენც ისე მოვიქცეთ?! ხალხმა, ჩვენმა საზოგადოებამ ყველაფერი კარგად დაინახა, იცის — ვინ რას წარმოადგენს, ვინ ვის და რა ინტერესებს იცავს.

— ეს შარვალჩახდილები, როგორც თქვენ უწოდეთ, გაჰყვიროდნენ: ამ თანხებით შშმ პირებს, სოციალურად დაუცველებს ვეხმარებოდითო. მსგავსი რამ თუ გსმენიათ?

— სრული სიცრუეა. ამ კანონს შშმ პირებთან და სოციალურად დაუცველ პირებთან არანაირი კავშირი არ აქვს. დაინტერესებულმა ადამიანებმა წაიკითხეს ეს კანონი და დარწმუნდნენ, რომ მისი მიღება არც სტუდენტების გრანტებს, არც სოციალურად დაუცველებს და არც შშმ პირებს საფრთხეს არ უქმნიდა. ამ კანონს კავშირი ჰქონდა მხოლოდ ამ ჭინკებთან, რომლებიც უცხო ქვეყნების — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და სხვათა ინტერესებს ემსახურებიან საკუთარ სამშობლოში. ეს უკუღმამედასავლეთეები, ვითომ ანტირუსები, ამაზე არ საუბრობენ. რუსეთიდან, კერძოდ, „ფე-ეს-ბედან" სოლიდური თანხები შემოდის, რითაც მაგალითად ლიაკა ხოშტარია ფინანსდება. ამ დროს ლიაკა ხოშტარია მათ გვერდით დგას, ერთი სულისკვეთება, ერთი მორალი აქვთ. მთავარია, სახელისუფლებო მწვერვალებს მიწვდნენ. მნიშვნელობა არ აქვს ამას „ფე-ეს-ბეს" ფინანსებით მოახერხებენ თუ სხვის.

— აგენტ-მოღალატეთა ჯგუფი სტრასბურგში ბრძანდებოდა. ვაშაძემ სიხარულით გვამცნო: ევროპა საქართველოში ხელისუფლების შეცვლას ითხოვსო...

— კი, ოპოზიცია სტრასბურგს ეწვია. ოღონდ, იქ განცალკევებულ კაბინებში ისხდნენ-ხოლმე, ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, თუმცა გვერდიგვერდ, როგორც მოიხელთებდნენ — ერთ მხარეს ბორელი იჯდა-ხოლმე, მეორე მხარეს - შარლ მიშელი. ტელეფონმომარჯვებული კიკუ ვაშაძე კი მათ ხმებს იწერდა, რასაც ახლა ევროპის მოსაზრებებად ასაღებს. კრილოვის იგავ-არაკის გმირებივით - „ლებედ რაკ ი შუკასავით" არიან.

— ოპოზიცია საუბრობს: ხელისუფლებამ აგენტების კანონი სპეციალურად შემოიტანა, რათა კანდიდატის სტატუსი არ მოგვცენო. ეს რა ლოგიკაა?

— კანდიდატის სტატუსზე საუბარი, შეურაცხმყოფელია. რას ნიშნავს ეს სტატუსი?! აგერ თურქეთი უკვე 30 წელია კანდიდატია და რა?! ეს კანდიდატის სტატუსი რაღა ჯანდაბაა?! სამარცხვინოა. მედასავლეთე ხაზარაძე, ხაბეიშ-



6 გვ.

SOS! – ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გონება და სულები გადასარჩენია!

მათ როგორც ველურებს, ისე ვუყურებ, რომელთა სიახლოვეს ყოფნა ძალიან საშიშია

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, ბოლო დროს გახშირდა ფაქტები, როცა სკოლის პედაგოგები ხელისუფლების წარმომადგენლების შვილებს ეუბნებიან, რომ მათი მამები მოღალატეები არიან. რაში ხედავთ გამოსავალს?

— დავიწყებ იმით, რომ განათლების სფერო სავალალო მდგომარეობაშია. თუმცა, მსგავსი ბულინგი ახალი არ არის. ეს პრობლემა საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. მოკლედ რომ ვთქვა, ადგილი აქვს „ნაციონალების“ ფაშიზმს, რითაც განსაკუთრებით ქართველი ნაცები გამოირჩევიან, არც უკრაინელი ნაცები არიან ნაკლები ფაშისტები. როცა ასეთ ადამიანს ხელში ძალაუფლება უვარდება, იგი შურისძიებას, სამაგიეროს გადახდას ცდილობს და სიამოვნებას სწორედ სისასტიკით იღებს. ჩემს მაგალითზე გეტყვით: მე, მეუღლე, მძღოლი და თერთმეტი წლის შვილი აგარაკზე ვიმყოფებოდით, რა დროსაც დილის ხუთ საათზე თავს სპეცრაზმი დაგვადგა. რომელი მებრძოლი, მეზარბაზნე, ან აკია ბარბაქაძე მე მნახეს! მძინარეს ლოგინში დამადგნენ და ავტომატის შუქი მომანათეს. ამას ჩემი არასრულწლოვანი შვილი უყურებდა. ენით აუწერელი სისასტიკეა, რაც ნაცების ხელწერაა. კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: ბავშვს სკოლა შევუცვალეთ. სკოლიდან დაბრუნებულმა მითხრა: ერთმა მასწავლებელმა მეორეს ჩემზე უთხრა, მაია ნიკოლეიშვილის შვილიაო. მას კი უპასუხია: ვაიმე, ახლა ესღა მაკლდაო. თერთმეტი წლის ბავშვისთვის როგორი აღსაქმელია ყოველივე?! უბრალოდ, ამ დეტალებზე საჯაროდ საუბრისგან ოჯახის გამო თავს ვიკავებდი. კიდევ ერთი ისტორია, რომელიც ამჯერად უფროს შვილს შეემთხვა. იგი ბავშვობის მეგობრის ქორწილში იმყოფებოდა და მის გვერდით არცერთი მეგობარი არ დაჯდა. ერთხელ, უმცროს გოგონას მასწავლებელმა ისიც კი უთხრა: დედაშენი „ფეისბუქზე“ ზედმეტად ბევრს აქტიურობსო. მახსოვს, 2012 წლამდე გარეთ ვერ გამოვდიოდი, აქციაზე წასვლაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ასე რომ, ის, რაც მიშა ყაველაშვილის შვილს შეემთხვა, ჩემთვის სიახლე როდია. ამ ადამიანების ბუნებაში პირდაპირ ჩადებულია სისასტიკე. წარმოიდგინეთ, რა ხდება — ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს მწერლებს უწოდებენ, „იუნესკოს“ მიმართავენ, რათა ელისო ბოლქვაძეს მშვიდობის ელჩის სტატუსი მოუხსნას!!! ისინი მწერლები არა, მაგრამ ზონდერები ნამდვილად არიან. ლაშა ბუღაძის კალმის წვალებას მწერლობას ნამდვილად ვერ დავარქმევ. მეც ვწერდი და ამ სფეროში საკმაოდ კარგად ვერკვევი. თანამედროვე ქართველ მწერლებში არის ორი ქალბატონი, რომელთა წიგნებს არასდროს შევიძენ. ერთი მათგანის მოთხრობები მართლაც მომწონდა, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, მასში ასეთი ფაშისტი როგორ ცხოვრობს. ამასთან დაკავშირებით ჯაბა იოსელიანი მახსენდება, რომელსაც ბრწყინვალე მოთხრობები აქვს, რაც ბევრს, ჯაბას ფაქტორიდან გამომდინარე, არ წაუკითხავს. ყველას ვეუბნებოდი, წაეკითხათ. მაგალითად, მისი „სარეჟისორო გეგმა“ შედევრია. ეს მწერლები, რომლებიც ელისო ბოლქვაძისთვის მშვიდობის ელჩის სტატუსის მოხსნას ითხოვენ, თავიანთი ფაშისტური ბუნებიდან გამომდინარე, ასეთ შედევრს ვერასდროს შექმნიან.

დავუბრუნდეთ განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს. მახსოვს, ჯონდი ბაღათურია და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას ნაცების დროს სკოლებში სექსუალური აღზრდის შემოღებას. დღეს რაც ხდება, ეს დიდი ხნის დაწყებულია, რასაც, სამწუხაროდ, ხელი არავინ შეუშალა. დღემდე განათლების სისტემა ლომაიასდროინდელი რეფორმებით იკვებება. სხვათა შორის, ჯონდიმ ერთი წიგნი მომცა, სადაც ფრანგული განათლების სისტემაზეა საუბარი. კერძოდ, იქ არსებობს სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებები. პირველში, სკოლის მოსწავლე თავისუფლად იქცევა, მას შეუძლია კიდეც წამოწვეს და გაკვეთილს ისე უსმინოს. აქ, ძირითადად, ისწავლება არითმეტიკა, მართლწერა, გრამატიკის ნაცვლად, და წაკითხულიდან შინაარსის გამოტანა. მეორე ტიპი, ეს არის კლასიკური განათლება: გრამატიკა, დისციპლინა, რომელიც რეალურად სხეულის წვრთნაა. ადამიანმა, გონებრივი, აზრობრივი პროცესების მიმდინარეობისას, სხეული უნდა აკონტროლოს. როცა ბავშვი ხელებს იქნევს, იგი წაკითხულზე კონცენტრირებას ვერ მოახდენს. ფიქრს, აზროვნებას სიმშვიდე სჭირდება. დისციპლინარული ჯდომა ამ დროს საკმაოდ მნიშვნელოვანია (როცა ჩემი შვილი გაკვეთილების მომზადებას იწყებდა, ვასწავლიდი, რომ სწავლის პროცესში ხელები არ ემოძრავებინა, რაც ბავშვებს ახასიათებთ). გრამატიკა, ასევე მათემატიკა, ლიტერატურა ტვინის წვრთნაა. ჩემ დროს ვარჩევდით ნაწარმოებებს, ვწერდით პერსონაჟების დახასიათებებს და ა.შ. ახლ თაობას მხოლოდ წაკითხულიდან შინაარსის გამოტანას ავალებენ. საბოლოოდ, საფრანგეთის მაგალითზე რომ ვთქვა, პირველი ტიპის სკოლადამთავრებული ბავშვი სათანადოდ განვითარებული არ არის, მათ მომსახურე პერსონალად ზრდიან. მეორე ტიპის სკოლებში მმართველი ელიტა იზრდება. მომსახურე პერსონალს წაკითხულიდან შინაარსის გამოტანაზე მეტი არ სჭირდება. ჩვენ დღეს სიამაყით გავატარეთ საგანმანათლებლო რეფორმა და, ფაქტობრივად, საზოგადოებას სწორედ ასეთ სკოლას ვაწვდით, სადაც მხოლოდ მომსახურე პერსონალს ზრდიან. დიახ, ჩვენ სკოლებში ბავშვებს მხოლოდ წაიკითხულის გაგება ევალებათ, მის გააზრებას აღარ ასწავლიან. ეს ქართველი ერის წინაშე დანაშაულია.

სხვათა შორის, ძალიან საყურადღებო იყო ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ, სანამ პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. მისი ინტერვიუ მთლიანად განათლების სისტემას ეძღვნებოდა. მაშინ ბევრი ამბობდა: რა დროს განათლებააო. არადა, სწორედაც რომ ეს საკითხი ყოფილა უმთავრესი. ბატონი ბიძინა ამბობდა: თუ გვინდა ერი შევინარჩუნოთ, მას აზროვნება უნდა ვასწავლოთ და არავითარ შემთხვევაში მომსახურე პერსონალად არ უნდა გავზარდოთო. ივანიშვილმა უდიდესი რამ გააკეთა — ამ „რეფორმას“ ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსება დაუპირისპირა. თუმცა, მეტის გაკეთების საშუალება და უფლება არ მიეცა. ახლა ვხედავთ, რა წინააღმდეგობების გადალახვაც უხდებოდა მას. ჩვენ, ფაქტობრივად, ვასალის ვასალები ვართ. ანუ, ევროპა ამერიკის ვასალია,

ჩვენ კი — ვასალის ვასალები ვართ. უკიდურესად მძიმე ვითარებაა.

— რუსთაველზე გამოსულ ახალგაზრდებზე რას იტყვით...

— ამ ბავშვებს რომ ვუყურებდი, ერთი დასკვნა გამოვიტანე: ჩვენი განათლების სისტემა საზარბაზნე ხორცს ამზადებს! უკრაინის ომზე გაკეთებული კლიპი, ალბათ, ნანახი გაქვთ — ხორცსაკეპ მანქანაში ადამიანები ცვივა და იქედან სისხლი წვეთავს. საშინელი კლიპია. ცუდი ის არის, რომ ადამიანი რომლის აზროვნებაც განვითარებული არ არის, ვერც კი აცნობიერებს, მის თავს რა უბედურება ტრიალებს, რადგან ფიქრის უნარი შეზღუდული აქვს. ახლობლებისთვის ხშირად მითქვამს: წიგნები იკითხეთ-მეთქი. ეს ისეთივე წამალია, როგორც მედიკამენტი, რომელიც გრიპის ან სხვა დაავადების დროს უნდა მიიღო. დიახ, წიგნი ტვინის წამალია. წიგნს თუ დაშორდება, მერე ადამიანს კლიპური აზროვნება უყალიბდება და ალცჰაიმერიც ადვილად ემართება. სერიალები აზროვნების უნარს აქვეითებს, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტებაა. აი, „ტიკ-ტოკი“ კი სერიოზულ კლიპურ აზროვნებას აყალიბებს, რა დროსაც პიროვნებას შინაარსის გააზრება უჭირს. ცოტა უხეში მაგალითია, მაგრამ ადამიანები, რომელთაც კიდურები აქვთ დაზიანებული და მათი ფიზიკური შესაძლებლობები შეზღუდულია, ბევრად ბედნიერნი არიან, ვიდრე ისინი, რომელთაც ჩვენი განათლების სისტემა ზრდის. მსგავსი ტიპის ადამიანი, პირველად ამერიკაში 2001-2002 წლებში ვნახე. ის ადამიანს ჰგავდა, ოღონდ მისი ინტელექტი ნულის ტოლი იყო. სულ მიკვირდა, როგორ შეიძლება ისეთ ძლიერ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, ერთდროულად ასეთი სიბნელეც იყოს და ფუფუნებაც. ამერიკა ადამიანების გამოთაყვანებით, გაუნათლებლობით კაცობრიობის ნაწილის გადაგვარებას უწყობს ხელს. არსებობს არაერთი თანამედროვე ამერიკელი მწერალი, რომელთაც მათი პრიმიტივიზმის გამო ვერ ვკითხულობ. როგორ გინდა, ამ მწერლების მერე ადამიანს დოსტოევსკი წააკითხო. ჩვენ, სამწუხაროდ ლომაიას რეფორმების წყალობით, სწორედ იგივე დღეში ვართ. შეხედეთ, როგორ იგინებიან პატარა გოგონები. მათ ადამიანური სახე დაკარგული აქვთ. აი, რისი უნდა გვეშინოდეს. ზოგადად, მგლის, ვეფხვის ან თუნდაც მთვრალი ადამიანის უნდა გეშინოდეს. ახლა, ზემოთნახსენები კატეგორიის ფხიზელი ადამიანიც საშიშია, მას სძულხარ, რადგან შენ მისგან განსხვავებული ხარ. ეს ამერიკაში ვნახე და შოკირებული ვიყავი. მოდი, პარალელი გავავლოთ: ქართველები, იმავე ქართველ პოლიციელებს მოლოტოვის კოქტეილებს ესროდნენ. ე.ი. მათ გონებაში მეორე პირი, ამ შემთხვევაში პოლიციელი, ადამიანი არ არის. ქართველობა უკვე საერთოდ არაფერ შუაშია. ანუ, ქართველობა აღარ წარმოადგენს შემაკავებელ ფაქტორს. „შენიანის“ შეგრძნება აღარ არის და არც იმისა, რომ ადამიანს წვავ. ის, რასაც ახლა თვალს ვადევნებთ, ომშიც კი არ ხდება. ომსაც თავისი ეთიკა აქვს. ადამიანში, რომელიც ჩვენმა განათლების სისტემამ გონებრივად სწორად ვერ განავითარა, აღარც სიკეთე არსებობს. იგი, უბრალოდ, ველურია.

6 გვ. →

ევროპა ჩვენი სახლია...

4 გვ.

ვილი, დეკანოიძე უნდა იყო, რომ კანდიდატის სტატუსისთვის იბრძოლო. რომელიმე აგვიხსნის, რას ნიშნავს სტატუსი?! — ან ხარ კანდიდატი ან — არა; ან მიგიღებენ, ან — არა; რად უნდა სტატუსი კანდიდატობას?! ეს თაღლითური ფანდია, რომელიც შეგნებულად შემოაგდეს. სანამ კანდიდატის სტატუსზე თმებს იწეწავენ ეს უკუღმა პატრიოტები, ევროკავშირს რა ბედი ელის, ეს საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ვერ გეტყვით, რომ ამ გახრწნილ ბიუროკრატიაში, მაინც და მაინც, მივისწრაფვი. რაც შეეხება ევროპას, ის ყოველთვის ჩვენი სახლი იყო, არის და იქნება. ჩვენ ევროპელები ვართ და სრულებით არ გვჭირდება, რომ ეს ურსულა ფონ დერ ლაიენმა, კრამონმა თუ მიშელმა დაგვიდასტურონ. ქართველი ხალხი ქრისტიანული ევროპის ერთ-ერთი დამფუძნებელია. თუ ევროპა რამეს ეფუძნება, ეს სწორედ ის ღირებულებებია, რასაც ჩვენ 2 ათასი წელიწადია ვიცავთ, იმათგან განსხვავებით ვინც დღეს ევროპელობას იჩემებს. ეს ტრაგიკომიკური პოლიტიკური აჯაფსანდალი სწორედ ამ ღირებულებებში გაუთვითცნობიერებელი ხალხისთვის მოეწყო. ადრე ყურადღებას არ ვაქცევდი, ახლა დამაინტე-



რესა და „ფრანკლინის კლუბის“ წესდება წავიკითხე. თქვენც გირჩევთ, წაიკითხოთ, ან სულაც გაზეთში გამოაქვეყნოთ. ისეთ კითხვა-პასუხს წავაწყდი, ეჭვიც აღარ შემპარვია ეს რა დაწესებულებაა და რისთვის ზრდიან „ფრანკლინელებს“.

— რას დაარქმევდით სტუდენტების მოძრაობას, რაც წინა კვირას ვიხილეთ?

— სად იყო სტუდენტების მოძრაობა?! მე მსგავსი არაფერი მინახავს. ამას ვანდალიზმი და ხულიგნობა ჰქვია. სტუდენტური მოძრაობები მშვიდობიან აქციებს მოიაზრებს. სად იყო იქ მშვიდობა? - პოლიციისთვის მოლოტოვის კოქტეილების, ქვების სროლა თუ მანქანის დაწვა და განადგურებაა სტუდენტური მოძრაობა?! როცა გაგებაში არ ხარ რას აპროტესტებ, ვანია მეტრუპეს და მარადიორი კეზერას დავალებებს ასრულებ და ამაში ფულს იღებ, ეს არც სტუდენტური მოძრაობაა და არც მანიფესტაცია. ეს ბოროტება და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. ელემენტარული წერა-კითხვის ცოდნა იყო საკმარისი, რათა კანონში ჩაეხედათ და დარწმუნებულიყვნენ, რომ საპროტესტო არაფერი იყო. სტუდენტური მოძრაობა 2005-2012 წლებში იყო ჩვენთან და მაშინ არცერთი ფანჯარა არ დაზიანებულა.

— ჩვენზე „დაუღალავად მზრუნველმა“ ელჩებმა, დიპლომატებმა 5 ივლისს მომხდარ მოვლენებზე ერთი ამბავი ატეხეს, მაგრამ 7-8 მარტის „მშვიდობიან ქმედებებზე“ ხმაც არ ამოუღიათ. ეს რით აიხსნება?

— იმიტომ, რომ მათ თავისუფალი საქართველო, ქვეყნის ინტერესებზე მორგებული ხელისუფლება არ სჭირდებათ. ჰეგემონებს მომსახურე საქართველო სჭირდებათ და არა დამოუკიდებელი. დეგნანის „მოღვაწეობა“ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების 30-წლიან ისტორიაში ერთ სამარცხვინო ლაქად დარჩება. მას დიპლომატიური უნარები არ აღმოაჩნდა, მეტიც, დაუფარავად გაამჟღავნა რა იდეებისთვის იყო აქ ჩამოსული — მიზანი საქართველოში მორჩილი ხელისუფლების ყოლაა და არა საკუთარი ხალხის ინტერესების დამცველი. ეს გეგმა ქართველი საზოგადოებისთვის დიდი ხანია გაცხადებულია - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“. ასევე, „მამული, ენა, სარწმუნოება“ დამოუკიდებელი, ღირსეული ქვეყნის პირობაა. სხვა დანარჩენი, მონობაა. აი, ეს მონობა უნდა დეგნანს, კარლ ჰარცელს, ფონ კრამონს, კუბილიუსებს. სხვადასხვა ეპოქაში ბევრ დამპყრობელს უნდოდა ჩვენი მპყრობელობა, რით დასრულდა ეს მცდელობები ყველასთვის ცნობილია.

— სწორედ ამიტომ ხომ არ გვსჯიან, რომ ვთქვით: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო?

— რა თქმა უნდა, ასეა. ამიტომაც ერჩიან ბიძინა ივანიშვილს! — როგორ გაბედა და თვითმყოფადი სახელმწიფოს შექმნის წინაპირობას ჩაუყარა საფუძველი, საკუთარი ხალხის მსახური მთავრობა ჩამოაყალიბა და არა აგენტებით გაჯერებული; როგორ შეუწყო ხელი ხელისუფლებას, რომლისთვისაც სახელმწიფო და საკუთარი ხალხის ინტერესებია უპირველესი და არა ევროები, დოლარები, ამერიკის, ან ევროპის ინტერესებიო. აი, სწორედ ამას ვერ პატიობენ. ამიტომ გაჰყვირიან დუჟმომდგარნი: ივანიშვილს სანქციები დაუწესდესო. უცებ, გული არ გაუხეთქონ, მეტი რაღა სანქციები უნდა დაუწესონ?! ისინი ჩვენ ქვეყანას არ იცნობენ. არ იციან ქართველი კაცის ზნე, ღირსება და მამპაპთა ცხოვრების წესი! საქართველო ლომჯარია, ადეიშვილი, კაპიტანი გიგაური ჰგონიათ, რომელმაც მერაბიშვილს სინდისი მიჰყიდა, როდესაც იმ პირუტყვებს, რომელბმაც სააკაშვილის ბრძანებით ქართველი ხალხი საკუთარ სისხლში ჩააბრჩვეს, ჯილდოები დაურიგა და ამისთვის რიგგარეშე წოდება მიიღო. აი, ვინ სჭირდება ნეოლიბერალებს, ამ ნეობოლშევიკებს. ეს ხალხია საქართველოში მათი იმედი და დასაყრდენი. მინდა ვუთხრა, რომ იმედი აუცილებლად გაუცრუვდებათ.

— ბოლო დროს, მერაბიშვილი გააქტიურდა, რომელიც კვლავ რევოლუციას და პოლიტიკური ვითარების გამწვავებას აანონსებს. რა მოლოდინები გაქვთ?

— მეტრუპე ვანია რისი სახელმწიფო გადატრიალების მომწყობია, არ გამაცინოთ. ეს შარვალჩახდილთა მელაშქრე...

— ხაბეიშვილი დაგვემუქრა: თუ 9 აპრილამდე ევროკავშირის 12 რეკომენდაცია არ შესრულდება, აქციები დაიწყებაო...

— ჩემთვის, ხაბეიშვილის ხსენებაც კი შეურაცხმყოფელია, არათუ მის აქციებზე საუბარი. აი, ხაზარაძემ აქციის მონაწილეებს რომ მიმართა: როგორც 9 აპრილს ვიდექით ერთად, ახლაც ასე უნდა დავდგეთო. ეს მომეწონა. ერთი გარემოება განსაკუთრებით: 1989 წლის 9 აპრილს ხაზარაძე კომკავშირის "ზნაჩოკით" მკერდდამშვენებული როდიონოვთან ერთად ერთ მხარეს იდგა, ხოლო ქართველი ახალგაზრდობა და ხალხი, რომელმაც სამშობლოს თავი შესწირა — მეორე მხარეს. გავახსენებ, თუ დაავიწყდა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მათ როგორც ველურებს, ისე ვუყურებ, რომელთა სიახლოვეს ყოფნა ძალიან საშიშია

5 გვ.

სწორედ ეს ვიხილეთ რუსთაველზე. იგივეს განსახიერებაა ოთხი შეშლილი პარლამენტარი ქალი. ახლა მითხარით, ისინი ადამიანები იყვნენ თუ ველურები?! ამ ყველაფრის მერე, ეს შეშლილი ქალები საზოგადოებაში კვლავ ჩნდებიან და ინტერვიუებს იძლევიან. როგორ შეიძლება, მას მერე, რაც თავიანთი სახე დაგვანახვეს, კიდევ აქეთ დაგვმოძღვრონ. ისინი არა როგორც პარლამენტარები ან ქალები, როგორც ადამიანები, განულდნენ. მათ როგორც ველურებს, ისე ვუყურებ, რომელთა სიახლოვეს ყოფნა, ჩემი აზრით, საშიშია. ახლა მაინც მოვიდეთ აზრზე. იქნებ, მომდევნო თაობები მაინც გადავარჩინოთ. ჩემი აზრით, ნებისმიერ განათლების მინისტრს (ნაცების დროინდელს არ ვგულისხმობ), სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა ეთქვა: ბავშვებს სკოლაში ნუ უშვებთ, საშიშიაო.

დღევანდელ სკოლებში მერხთან არასწორი ჯდომა ბავშვს მხოლოდ კონცენტრაციის უნარს კი არ უკარგავს, უმეტესობას სქოლიოზი ემართება. არაფერს ვამბობ პატრიოტიზმზე, სამხედრო აღზრდასა და ხელგარჯილობაზე, რაც ბავშვის სწორი აზროვნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისა და ტვინის ერთად მუშაობა უმნიშვნელოვანესია. ზემოთ წიგნის კითხვა ვახსენე, რაც აზროვნებას ავითარებს. კითხვის დროს ბავშვი მთავარ გმირს წარმოსახვაში წარმოიდგენს, ფანტაზიაში ახალ ადამიანს ქმნის, მასთან ერთად გადის სირთულეებს, თან აანალიზებ სიკეთეს, ბოროტებას და ა.შ. ანუ, ფიქრსაც სწავლობს. ფილმში რეჟისორი გმირებს საკუთარი ფანტაზიით ქმნის. ამიტომაც ვამბობთ: ეკრანიზაციას წაკითხული სჯობდაო. მაგალითად, მე ჩემი ანა კარენინა მყავს და ვერცერთ ეკრანიზაციას ვერ მივუსადაგე. ერთადერთი ეკრანიზაცია, რაც ჩემთან ახლოს მოვიდა „ოსტატი და მარგარიტაა“. როცა ფიქრობ, ტვინის ყველა უბანი განათებულია, როცა სერიალს უყურებ, მაშინ მხოლოდ ტვინის ერთი უბანი ნათდება. კლიპური აზროვნების დროს კი მხოლოდ რამდენიმე წერტილი ნათდება და მასზე კლიშეების მორგება ძალიან ადვილია. მაგალითად, ესაა — სააკაშვილი, წამება, პუტინი, ტყვე და მორჩა. უცებ, ამ ადამიანებში ტვინის ის უბნები ნათდება, რომელიც მასთან აქტიურია. აქ არგუმენტი, აზროვნება არ არსებობს. მას ვერც რამეში დაარწმუნებ და ვერც მსჯელობაში გამოგყვება. მას მხოლოდ ერთი, კონკრეტული „სპირალი“ აქვს ანთებული და მორჩა. ოჯახმა ბავშვი უნდა აიძულოს, წიგნი წაიკითხოს, რათა მისი გონება გადაარჩინოს. ის ადამიანები, ვინც ახლა გაიძახიან: იქ მივვარდებით, აქ მოვვარდებით და ა.შ. აბსოლუტურად დეგრადირებულნი არიან. ისინი 2003 წელში ჩარჩნენ. ისინი გარკვეული ინსტრუქციებით ცხოვრობენ და მუშაობენ. ძაღლს ხომ აძლევენ ბრძანებებს. მას გარკვეული რაოდენობის სიტყვები ესმის, მაიმუნს კიდევ მეტი, დელფინს უფრო მეტი და ა.შ. მათ გარკვეული რაოდენობის სიტყვების აღქმა შეუძლიათ. ადამიანები ხომ ჩვეულებრივი შესაძლებლობებით იბადებიან, მაგრამ მათი ნაწილი ზომბებად გარდაქმნეს.

— თუ ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდობა გვინდა, არ სჯობს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ნაცები — ლიბერალი ფაშისტი პედაგოგები ბავშვებს დროულად ჩამოაშორონ?

— დიახ, განათლების მთელი ვერტიკალი ნაცებითაა გადატენილი. ვფიქრობ, როგორ შევქმნათ ისეთი ინსტიტუტები და სკოლები, სადაც ზომბებს არ გაზრდიან. იქნებ, საფრანგეთის მსგავსად ორი ტიპის განათლების სისტემა მაინც დავნერგოთ, რა დროსაც ზომბების გარდა, ნორმალური თაობის გაზრდასაც შევძლებთ. თუნდაც დიფერენცირებული სწავლების გზით. ეს განათლების სამინისტროს პრეროგატივაა. ჩემი აზრით, დღეს სასწრაფოდ მრგვალ მაგიდასთან სადისკუსიოდ უნდა შეიკრიბონ მოქმედი და ყოფილი განათლების მინისტრები (არა ნაცები) და იმსჯელონ, როგორ გადაარჩინონ მომდევნო თაობები. ეს მნიშვნელოვანია. მახსენდება, მილორად პავიჩის ერთ-ერთი რომანი, სადაც ამერიკაში გამდიდრებული სერბი თავის სოფელში ბრუნდება და ხალხს ეუბნება: თქვენი, მეოთხე თაობის, ანუ, არდაბადებული ბავშვების სულები მომყიდეთ, ფულს ახლავე გადაგიხდითო. ხალხი დაფიქრდება, მეოთხე თაობის ბავშვებს ვერც ისინი მოესწრებიან და ვერც მათი სულების მყიდველი. რჩევის საკითხავად მოძღვართან წავლენ, რომელიც ასე პასუხობს: თანხმობა მიეცით, ფული აიღეთ, ოღონდ, მანამდე მე იმ ჯერ არდაბადებულ ბავშვებს მოვნათლავო. დააკვირდით, რამხელა პარალელია გავლებული ჩვენს პატრიარქთან, რომელიც ყოველი მესამე ბავშვის ნათლიაა. წარმოიდგინეთ, ყოველი მესამე ბავშვი გადარჩება. ეს ხომ საოცრებაა. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: მუსლიმთა მუფთისგან მოვისმინე: ანგლოსაქსებს ჩვენი სისხლი და ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გონება და სულები უნდათო. ეს სამი მოვლენა — რაც განათლებაზე ვისაუბრეთ, პავიჩის ეპიზოდი და მუფთის სიტყვები, ურთიერთკავშირშია. წესით, განათლების მინისტრმა ის მაინც უნდა თქვას, რომ ამ სფეროს სასწრაფოდ დახმარება სჭირდება.

შეხედეთ, რა ხდება უკრაინაში — ქვეყანა იღუპება, ერი წყდება და ხალხი ცხვრებივით ხმას არ იღებს. ჩვენ პროტესტის უნარი მაინც შეგვრჩა. ბოლო ოცდაათმა წელმა, როგორც ჩანს, უკრაინელებზე უფრო იმოქმედა. მათგან პროტესტი არ მსმენია, თუნდაც ქვეყნიდან გასულების. ერი წყდება და არავინ ამბობს: ომი შეაჩერეთო. არავინ ამბობს: გადაარჩინეთ ჩვენი სულები და გონება. რა მნიშვნელობა აქვს, ერს ფიზიკურად გაწყვიტავ თუ გონებრივად. ამიტომ, შოშ! — განათლების სისტემა — ჩვენი გონება და სულები სასწრაფოდ გადასარჩენია. მომავალი თაობა უნდა გადარჩეს. ისინი უნდა გადავარჩინოთ, რათა ადამიანებად ჩამოყალიბდნენ და არა ზომბებად.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

„მელა მელას შობს, მგელი — მგელს, ღორი — ღორს და თაგვი — თაგვს, მხოლოდ ადამიანს შეუძლია, გააჩინოს ნებისმიერი.“

ოტია იოსელიანი

მას შემდეგ, რაც საქართველოში ე.წ. „განათლების რეფორმა“ წამოიწყეს და დაამთავრეს კიდეც, საბოლოოდ მოეღო ბოლო ყველა მომავალი თაობის განათლებას.

ოჯახური ვითარებიდან გამომდინარე, 1986 წლიდან მუდმივად მიწევს თვალ-ყურის დევნება განათლების სისტემისთვის და სწორედაც რომ ჩემ თვალწინ გაიარა საქართველოში განათლების პროცესის სრული დეგრადირების ფაზებმა. ამ დღეებში კი გამოჩნდა, რომ ყველაფერი ბევრად უარესად ყოფილა. ე.წ. რუსული კანონის მიღების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე (რეალურად, მაიდნის მოწყობის მცდელობაზე) ისეთმა უწიგნურობამ იჩინა თავი, ცოტაც და, უბედურება დატრიალდებოდა. კაცი იმედით ცოცხლობს — ამიტომ, მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ყველას თუ არა, ნაწილს მაინც შერცხვება საკუთარი სიზარმაცის, თუნდაც იმიტომ, რომ დაიზარა „რაღაცის“ წაკითხვა და ამით საკუთარი თავი გამოაყენებინა ვიღაცას. წერა-კითხვასა და მიმატება-გამოკლებას ასე თუ ისე მაინც ართმევენ თავს მოზარდები, მაგრამ საუნივერსიტეტო განათლების კრიზისი საშინელებაა, მომავალზე ხაზის გადასმა და ქვეყანაში ყველაფრის ჩამოშლაა.

სოციალურ ქსელში გამოჩნდა აქციაზე მყოფი სტუდენტების აღიარება, რომ მათ არ ჰქონდათ წაკითხული არათუ ე.წ. რუსული კანონი, არამედ მისი სამივე ვარიანტი. ისინი აჰყვნენ „ავტორიტეტებს“ და, რეალურად, მომართულ სათამაშოებად იქცნენ ვიღაცების ხელში ჯერ ქვეყნის, შემდეგ — არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. აქციიდან მოგვაყვირა ერთმა ახალგაზრდამ: „რათ მინდა წაკითხვა, რადგან ამერიკამ თქვა, რუსულია — ესე იგი, რუსულიაო.“ ეს არის სწორედ ის უბედურება, რაც იმ დროიდან დაიწყო, რა დროიდანაც ჩვენთან დამკვიდრებული განათლების სისტემა საბჭოთა გადმონაშთად მონათლეს, არადა, გერმანული სისტემა იყო...

ახალგაზრდებს ვსაყვედურობთ, ნაბეჭდი პროდუქციის კითხვა და დამოუკიდებლად ანგარიში დაივიწყეთ; არც რუკის კითხვა ისწავლეთ და კიდევ ბევრი რამ დაგრჩათ უსწავლელიო, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ახალგაზრდების მხარდამხარ რუსთაველზე საპროტესტოდ გამოსული პროფესორ-მასწავლებლებების უმეტესობასაც არ ჰქონია წარმოდგენა, რა ეწერა იმ კანონში, რომელსაც აპროტესტებდნენ (ცალკე კატეგორიაა ისინი, რომლებსაც წაკითხული არ ჰქონდათ, ან ჰქონდათ, მაგრამ ანტისახელმწიფოებრივ აქციაზე დგომის მოთხოვნილება პოლიტიკური კუთვნილების გამო მოვალეობად ესახებოდათ).

ამ შემთხვევაში თითის გაშვერა ერთი მიმართულებით — კანონპროექტის ავტორებისკენ — რატომ არ გააცნეს კანონპროექტი პროფესორ-მასწავლებლებსო, არ იქნება მთლად მართებული, რადგან კანონპროექტის შესახებ ჯერ სიტყვად ითქვა და თუ აინტერესებდათ, მოითხოვდნენ კიდეც შეხვედრას პარლამენტარებთან, რისი უფლებაც არავის ჩამოურთმევია მათთვის.

ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, უხერხულია, მაგრამ ერთ-ერთმა ლექტორმა, რომელსაც ამ ყბადაღებული კანონის არცერთი ვერსია არ ჰქონდა წაკითხული, გულახდილად აღიარა: „პირადად მე ორასამდე სტუდენტი გავიყვანე რუსთაველზე „რუსული კანონის“ წინააღმდეგ, აშშ-ის ელჩის სიტყვას ვენდე და გავედიო.“

ხედავთ, პრობლემა რაშია? — ჩვენს ახალგაზრდებს ხელაღებით ვერ გავამტყუნებ, რასაც არ ასწავლიან, ის არც იციან!

ბრძენს სამი დღის ბავშვი მიუყვანეს აღსაზრდელად და, ამისი აღზრდა უკვე დაგვიანებულიაო...

ბავშვის აღზრდა ოჯახიდან იწყება და სკოლაში გრძელდება, ეს არის მისი პირველი ნაბიჯები ცხოვრებაში — ოჯახსა და სკოლაში, შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში და ა.შ.

ასაკით გაზრდილ, მაგრამ გაუზრდელ და უწიგნურ ადამიანს რომ ხვდებით, ჯერ ხომ მის გამჩენს მოიხსენიებთ უხერხულ კონტექსტში და უკვე შემდგომ მის მოქალაქედ აღმზრდელს?

ხსენებულმა ლექტორმა რა უნდა ასწავლოს სტუდენტებს: იყავით უცოდინარი ბრბოს შემადგენელი ნაწილი და მონური ფსიქოლოგია გქონდეთ, რასაც გეტყვიან, დაიჯერე, არ არის საჭირო აზროვნებაო?

რა დამავიწყებს, სახალხო დამცველის მოადგილემ რომ ალალად თქვა: თუ ევროკავშირი მოითხოვს, ერთი კვირა ცალ ფეხზე უნდა ვიდგეთ და გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც გვეტყვიანო; ხოლო მეორემ, აღტკინებულმა და ბედნიერმა, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან სატელევიზიო ჩართვაში დაიჭყლოპინა: „ისეთი კარგია — ერთმა თქვა, ჩავიკუზოთო და ყველა ჩავიკუზეთო“...

ასეა ზოგიერთი დღევანდელი ლექტორის ამბავიც, რას ასწავლის — თუ „ჭკვიანი დასავლეთი“ მოითხოვს, ცალ ფეხზეც უნდა იცხოვროთ, ჩაკუზულმაც და წაკუზულმაცო?

ასეთი მონური მორჩილებით, დღეს უკვე მიწასთან გასწორებული უნდა იყოს საქართველო და დატირებული გვყავდეს ერთმანეთი. უპირველესად, ჩვენი მეომარი ძალა, იმ ასაკისა, პარლამენტის წინ უსულო საგნებზე რომ აფრქვევდნენ რისხვას და საკუთარივე ქვეყნის დამცველებს ცეცხლს უკიდებდნენ უხამსი ჟესტიკულაციითა თუ ლექსიკით; ის სპეცნაზელებიც, ერთმა მათგანმა, ძირს დაგდებული საქართველოს დროშა რომ აიღო, აკოცა და შეინახა...

დიახ, ასე იქნებოდა, რადგან ერთი წელია, სერიოზული ზეწოლის ქვეშ არის საქართველოს ხელისუფლება, რადგან არ სურს საქართველოს გაპარტახება და გაქრობა, არ უხსნის რუსეთს ე.წ. „მეორე ფრონტს“, რადგან ის სულელი არ არის, რომელიც მამაცად იბრძვის სხვის ომში...

მონური მორჩილებით, აქამდე გადაბიჯებული იქნებოდა კანონზეც და სასამართლო სისტემაზეც. დედამიწის ნებისმიერ წერტილში დავინახავდით, როგორ ერთობა ფრთაშესხმული გასტროლიორი, სიმულანტი კრიმინალი, სისხლის სამართლის მრავალგზის დამნაშავე და საკუთარი სამშობლოს უარმყოფელი, მრავალმაგი აგენტი მიხეილ სააკაშვილი...

სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს, დაიკაპიწოს ხელები, გამოიბერტყოს ყურები და განათლების სისტემას სერიოზულად მიხედოს, თორემ კიდევ მრავალჯერ მოისმენს სიტყვებს: „მე უცხოეთი მარჩენს პროექტებით და რასაც მომთხოვენ, იმას ვიტყვიო“...

უმძიმესი მდგომარეობაა განათლების სფეროში!

არ მახსოვს, რომელ ტელევიზიას ჰქონდა გადაცემა „ქალური ლოგიკა“, რომელიც ერთი სეზონი მაინც გადიოდა, შემდეგ დახურეს. მართლაც დასახური იყო! ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა, როცა ვაღიარე, რომ მართლაც სქესს — ქალს ამცირებდნენ. რა „ლოგიკაც“ იმ გადაცემაში ქალთა სქესს ჰქონდა, ანუ რა უმეცრებიც იყვნენ, იგივე „ლოგიკა“ აქვთ იმ ასაკის მამაკაცებსაც. მიზეზი მხოლოდ ერთია, თაობაა უწიგნური და ყოვლად გაუნათლებელი, ელემენტარული რომ არ იციან — მხოლოდ ლამაზი გარეგნობა და ერთი მიმართულებით გავარჯიშებული ტვინი აქვთ!

იუსტიციის სახლში საქმე მქონდა საბუთებთან დაკავშირებით და სანდომიან ოპერატორს ვერაფრით გავაგებინე, რა მინდოდა, გამოედევნა ერთ ფრაზას და გავარჯიშებული იმეორებდა ერთსა და იმავეს. ვთხოვე, რასაც მეუბნებით, შუა ადგილიდან დაიწყეთ, იმ ადგილიდან მაინტერესებს დაწვრილებით-მეთქი და შუიდან ვერ იწყებდა... ბანკში შევედი და იქაც იგივე — მაინტერესებდა, რა დანიშნულება ჰქონდა ორ ბარათს და ერთი და იგივეაო. აბა, რატომ მაქვს ორი? გნებავთ, ფასიანი გავაუქმოთო? — და გამიუქმა, დამტოვა პირდაღებული, ახლის გაკეთებამ მომიწია... ასეა ყველა საჯარო სამსახურში იშვიათი გამონაკლისის გარდა... მოლარე მარტივ არითმეტიკულ მოქმედებას ვერ ასრულებს კალკულატორის გარეშე... ევროპაში მიმავლებს თბილისის ჩვენება არ შეუძლიათ რუკაზე... დაბნეულები არიან, გიორგი საკაძე რა კავშირშია კასპის რაიონთან, როცა საკაძის მოედანზე დგას მისი ძეგლი (ალბათ, საბურთალოელი იყო?)...

ინტერნეტსივრცეში მრავლად არის ვითომდა სახალისო სხვადასხვა გამოკითხვები — სიცილი კი არა, ტირილი მოგინდება, ისეთი პასუხებს იძლევიან ქუჩაში გამვლელი ტკვარცალა გოგო-ბიჭები — სულ ერთი თაობაა. შეკითხვაზე: „რა მოხდა 9 აპრილს თბილისში“? პასუხი როგორ უნდა იყოს „არ ვიცი, ჩვენ თბილისელები არ ვართ“, ან რატომ უნდა ეგონოს ზრდასრულ ახალგაზრდას ნილოსი სვანეთში და შესაძლებელად მიაჩნდეს დათა თუთაშხიას თურქეთიდან გადმოსვენება... ბოლოს და ბოლოს, რანაირად უნდა თქვა აღშფოთებულმა, რომ „ხელისუფლებას, უაზროდ ფულის ფლანგვას, ურჩევნია სიცხისგან აუტანელ ზაფხულში მზეს დაუწიოს 5 გრადუსით, რომ ხალხმა ამოისუნთქოს“.

ახლობელი ასფალტის ქარხნის დირექტორი იყო. ერთ დღეს მუშას გაუჯავრდა: ეს რა გიქნია, მე რომ არ გითხრა ყველაფერი, შენით ვერ უნდა მიხვდე, რა გააკეთო, ჭკუა არ გაქვსო? მუშამ ალალად უპასუხა: „უფროსო, მე ჭკუა რათ მინდა, სამსახურში შენ გაქვს ჭკუა, სახლში — ცოლსო.“...

საზოგადოებისთვის ცნობილმა პიროვნებამ სიმწრითღა გაიხუმრა: „კანონების მიღება უნდა შეწყდეს. ევრო-ვანდალები ვერ იგებენ, წერა-კითხვა არ იციან, ალბათ, ქართულად. შეიძლება, შემთხვევით რამე მოეჩვენოთ და ისევ გადაწვან მშვიდობიანი ქალაქი. იყოს, როგორც იყო ჰამურაბობა!!!“

ჯერ კიდევ ადრე, „განათლების რეფორმის“ დასრულების გარიჟრაჟზე, შევნიშნე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლე ჩემი უმცროსი შვილი ჩუმად ტიროდა. რომ დავინტერესდი, რა ატირებდა, მომიგო, ვერ ვსწავლობ ამ ლექსსო. გამოვართვი წიგნი და ჯერ ჩუმად რომ წავიკითხე, შემდეგ ხმამაღლა და გამოთქმით ე.წ. ლექსი, მოვეფერე, გულში ჩავიკარი და დავამშვიდე, არ ისწავლო, ეს ლექსი არ არის-მეთქი. დილას წავყევი სკოლაში, დამრიგებელი გავიხმე, ვუამბე, რაც მოხდა და ვთხოვე, ჩემი შვილისთვის არ ეკითხა ლექსი. აზრთა გაცვლა-გამოცვლისას ერთად ვივიშვიშეთ, ეს რა დღეში აგდებენ ბავშვებს, რის სწავლას აიძულებენ, ამათგან რა უნდა გამოვიდესო...

რა უნდა გამოვიდეს ამათგანო და გამოვიდა უკვე!

„ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო“ („ჯვარიც გამოვა და ბარიცო“, „აკვანიც და კუბოცო“)...

გასულ წელს, სლოვენიაში გამართული ოლიმპიადიდან, სადაც 27 ქვეყნის 189 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, ოქროს მედალი მხოლოდ 12-მა მიიღო და მათგან 2 საქართველოდან იყო: ირაკლი უგულავა და ნიკოლოზ მალცევი. მათი ვინაობა მხოლოდ ვიწრო წრემ იცის, მათი მიღწევა გამორჩეულად არაფრით დაუფასებია საქართველოს (ვერცხლის მედალი ანდრია მანჯავიძემ დაიმსახურა, ხოლო ბრინჯაო — გრიგოლ ცირეკიძემ და დურმიშხან ქართველიშვილმა).

მათივე თანატოლი, რომელიც აღტკინებული ბრბოს რიგითი წარმომადგენელი იყო და საქართველოს მომავლის დამანგრეველი მიტინგის დაშლის დროს წყლის ჭავლზე ხტოდა, მარო მაყაშვილის სახელობის პირველ სტიპენდიას მიიღებ?.

დავიჯერო, მხოლოდ მე მეჩვენება, რომ ღირებულებები გადაფასებულია? გადაფასებული კი არა, ამოტრიალებულია...

სწორედ ამიტომ, სტიპენდიის დამნიშვნელს მინდა ჩავეკითხო: ასეთივე „დაფასების კრიტერიუმით“ რატომ არ ეკუთვნის იგივე სტიპენდია იმ გოგონას, ორივე ხელის შუა თითს რომ უჩვენებდა პოლიციელებს? ან იმ გოგონას, რომელს ვესროლოო, რომ აინტერესებდა და პოლიციელებს წყლიანი ბოთლი ესროლა; იმ ბიჭებს, პოლიციის მანქანა რომ ამოატრიალეს, არ ეკუთვნოდათ? „მოლოტოვის კოქტეილებს“ რომ ისროდნენ, მათ სულაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სტიპენდია ეკუთვნით, ხოლო იმ სტუდენტებს, რომლებმაც ირაკლი კობახიძის ავტორობით გამოცემული წიგნები დაწვეს, სრულიად განსხვავებული ჯილდო ეკუთვნით ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორისგან, მწერლისა და წიგნისმოყვარულისგან. „იქ სადაც წვავენ წიგნებს, ადამიანებსაც დაწვავენო“ და აჰა, ხომ წვავდნენ ცოცხალ ადამიანებს, პოლიციელებს — თუ, პოლიციელი ადამიანი არ არის?

ნინო დაუშვილი
(გაგრძელება იქნება)

გილოცავთ, „ბორჯღალოსნებო“!

საქართველოს რაგბის ნაკრები ევროპის ჩემპიონია!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ბადახოსში რაგბის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში პორტუგალიის ნაკრები 38:11 დაამარცხა და ტიტული მეთხუთმეტედ მოიპოვა.

ფინალში გამარჯვება ამ ტურნირზე მოგებული მე-100 მატჩი იყო „ბორჯღალოსნებისთვის“. ქართველმა მორაგბეებმა წაუგებელი სერია 29 მატჩამდე გაზარდეს, რაც ახალია რეკორდია.

შეხვედრაში პირველი ლელო პორტუგალიელებმა დადეს, მაგრამ ქართველმა მორაგბეებმა მალევე შესძლეს თამაშის დალაგება და 10-წუთიან მონაკვეთში 2 ლელო დადეს — აკაკი ტაბუცაძემ დუბლი შეასრულა, მას 27 ლელო დაუგროვდა ნაკრებში და ამ მაჩვენებლით ლეგენდარუკლ მამუკა გორგოძეს გაუთანაბრდა.

საქართველოს ნაკრებმა ექვსი ლელო დაუდო მეტოქეს. საბოლოოდ, მძიმე და დაძაბული შეხვედრა დამაჯერებელი ანგარიშით საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ჩვენმა ნაკრებმა, ამ გამარჯვებით, ტიტულის მოგების გარდა, მსოფლიო რაგბის განახლებულ რეიტინგში მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლა.

მას შემდეგ, რაც ქართული რაგბი დამოუკიდებელი გახდა, „ბორჯღალოსნებმა“ პირველად ითამაშეს ფინალი.

1989 წლიდან, ანუ პირველი საერთაშორისო მატჩიდან (ზიმბაბვესთან) დღემდე, არცერთ ფინალში არ უთამაშიათ დღემდე იმ მიზეზით, რომ მსგავსი ფორმატით არცერთი ტურნირი არ ტარდებოდა, გარდა მსოფლიო თასისა, რომლის ფინალშიც ჯერ არ გავსულვართ.

„რაგბი ევროპამ“, ჩემპიონატის ფორმატი, რომელიც აქამდე 14-ჯერ გვქონდა მოგებული, წელს შეცვალა და ისე მოხდა, რომ ფინალშივე შეგვეძლო ტურნირზე მე-100 (118 მატჩში) გამარჯვების მოპოვება.

სპორტში წარმატება ერთ დღეში არ მოდის. გადავხედოთ საქართველოს რაგბის ნაკრებისა და რაგბის ისტორიას საქართველოში: საქართველოს პირველი ეროვნული რაგბის გუნდი 1989 წელს შეიქმნა და პირველი საერთაშორისო მატჩი ქუთაისში გამართა ზიმბაბვეს ნაკრებთან (16:3). გუნდის პირველი მწვრთნელი დავით კილასონია იყო, პირველი კაპიტანი — ოლეგ ლიპარტელიანი.

1990 წელს მოეწყო მორაგბეთა ნაკრების პირველი ტურნე, ამჯერად სტუმრად ზიმბაბვეში.

1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართულმა კლუბებმა სსრკ ჩემპიონატი დატოვეს.

1992 წლის თებერვალში, რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველოს რაგბის კავშირი 52-ე წევრად მიიღო.

1993 წელს, საქართველოს ნაკრები პირველად ჩაება მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში.

საქართველოს რაგბის კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი — ბიძინა გეგიძე) მიზნად დაისახა ამ ასპარეზობის ფინალურ ეტაპზე გასვლა.

2001 წელს, საქართველოს რაგბის ნაკრებმა მოიგო „ევროპის ერთა თასი“, რითიც ოფიციალურად გახდა ევროპის მე-7 გუნდი.

2003 წლის შემოდგომაზე, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის ნაკრები (17:13) და 2003 წლის მსოფლიო თასის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა.

ამის შემდეგ, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 2003, 2007, 2011, 2015 და 2019 წლების მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. მათ შორის, 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე. მორაგბეთა ნაკრები პირველი ქართული გუნდია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა.

ქართული რაგბის ისტორია 1959 წლის 15 ოქტომბრიდან იწყება, როცა ფრანგმა ემიგრანტმა ჟაკ ასპეკიანმა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პირველი ქართული სარაგბო კლუბი დააფუძნა.

უფრო ადრე, 1919, 1948 და 1949 წლებში, საქართველოში რამდენიმე საჩვენებელი სარაგბო მატჩი გაიმართა, თუმცა რაგბის გავრცელების ოფიციალურ თარიღად 1959 წელი არის მიჩნეული.

1961 წლის დეკემბერში, გივი მრელაშვილის თაოსნობით პირველი ოფიციალური ორგანო — თბილისის რაგბის საქალაქო სექცია შეიქმნა, რომელიც 1964 წელს თბილისის რაგბის ფედერაციად გადაკეთდა.

1962 წელს გაიმართა თბილისის პირველობა ოთხი გუნდის მონაწილეობით. ჩემპიონობა მოიპოვა პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

1963 წელს თბილისში ჩატარდა პირველი საკავშირო ტურნირი — პროფკავშირების პირველობა, რომელშიც თბილისის „განთიადი“ III-ე ადგილზე გავიდა, სამი წლის შემდეგ გამართულ სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატში კი მეორე ადგილზე თბილისის „დინამო“ გავიდა (მწვრთნელი — გივი მრელაშვილი).

1966 წელს გიორგი ყუფარაძისა და შალვა ქურციკიძის თაოსნობით, ქუთაისში დაარსდა რაგბის პირველი კლუბი „დინამო“.

1967 წელს გაიმართა პირველი უცხოური გუნდის, საფრანგეთის მასწავლებელთა პროფკავშირების ნაკრების ტურნე საქართველოში. ამავე წელს, პირველმა ქართულმა გუნდმა, თბილისის „დინამომ“ მოაწყო ტურნე უცხოეთში (პოლონეთში) და სამი გამარჯვება მოიპოვა. ამ წელსვე ჩატარდა საქართველოს I ჩემპიონატი რაგბიში.

ლელობურთის ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა რაგბი. მორაგბეთა თემი, ლამის სოციალურ ფენომენად ჩამოყალიბდა. მორაგბეები განსაკუთრებულ არაფორმალურ პატივისცემას იმსახურებდნენ საზოგადოებისგან.

1968 წელს, თბილისის „ლოკომოტივმა“ მე-III ადგილი დაიკავა სსრკ-ის ჩემპიონატში და ეს შედეგი კიდევ სამჯერ გაიმეორა 1972, 1978 და 1981 წლებში — 1978 წელს კი საბჭოთა კავშირის თასიც მოიპოვა.

1980-იან წლებში ქართულ და საბჭოურ რაგბიში ქუთაისის „აია“ ლიდერობდა. „აიამ“ ჯერ საბჭოთა კავშირის ვერცხლისა (1984წ) და ბრინჯაოს (1985წ) მედლები აიღო, შემდეგ კი დუგლას კავთელაშვილის ხელმძღვანელობით, ზედიზედ სამჯერ 1987-88-89 წწ) სსრკ-ის ჩემპიონი გახდა, ორჯერ კი (1987 და 1990 წელს) თასის გათამაშებაში გაიმარჯვა.

სხვადასხვა დროს სსრკ-ის ნაკრებში მრავლად თამაშობდნენ ქართველი მორაგბეები: თამაზ მგელაძე, ვლადიმერ აბაშიძე, მიხეილ თუშიშვილი, ზურაბ ხარშილაძე, თემურ ბენდიაშვილი, მიხეილ ჯვარიძე, დავით კილასონია, მიხეილ ხარშილაძე, ავთანდილ გიორგაძე, ავთანდილ ღიბრაძე, ნუკრი წერეთელი, ვლადიმერ პეტუხოვი, რამაზ სანებლიძე, ოლეგ ლიპარტელიანი, გაიოზ მონიავა, ალექსანდრე ნაჭყებია, ბესარიონ ლილუაშვილი, სერგი უგრეხელიძე, ნუგზარ ძაგნიძე, მამუკა ლოსაბერიძე, მალხაზ ჭეიშვილი და ზაზა ბაკურაძე.

„საერთო გაზეთი“ ულოცავს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონობას!

მუდამ გამარჯვების გზაზე გევლოთ „ბორჯღალოსნებო“!

„კვარაშოუ - ზეციური სინათლის ანარეკლი!“

„ნეაპოლში ნამდვილი „კვარამანიაა“ გამეფებული. „ნაპოლის“ გაჩემპიონების შემდეგ, მარადონას პატივსაცემად, ნეაპოლში ბევრ ახალშობილს „დიეგო“ დაარქვეს. არ გამიკვირდება, თუ მალე ქალაქში პატარები გამოჩნდებიან, რომელთა სახელი ქართველის პატივისცემის ნიშნად იქნება „ხვიჩა“, — თქვა „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტმა მაურიციო ნიჩიტამ, რომელიც „ნაპოლის“ საკითხებში მთავარი სპეციალისტია.

„კვარას“ მოქმედების ეფექტურობა საოცარია, ეფექტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! როდესაც ფინტით „ატალანტას“ მთელი დაცვა დააწვინა, მე ემოციები ვერ შევიკავე. „კვარას“ შესრულებით ფეხბურთი სიხარულია, ნამდვილი ბედნიერებაა. მე უკვე 60 წლის ვარ, ჟურნალისტურ კარიერაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ რასაც ხვიჩა ქმნის, ძნელია, რაიმეს შეადარო. თავს ჯადოქრით აღფრთოვანებული ბავშვივით ვგრძნობ. ერთია, გქონდეს ტალანტი, ხოლო სულ სხვაა, როდესაც ამას მთელი გუნდის საკეთილდღეოდ გამოიყენებ. „კვარა“ ორივეს შერწყმას ახერხებს და, საჭიროების შემთხვევაში, დაცვასაც ეხმარება“, — აღფრთოვანების დამალვას სულაც არ ცდილობს მაურიციო ნიჩიტა.

პირადად ჩემი აზრია, რომ რომელიმე ქვეყნის პოლიტიკა არ უნდა შეეხოს სპორტსა და ხელოვნებას, თუმცა დღევანდელი მსოფლიო ერთმანეთზე ისეა ახორხლილი, სპორტსაც მისწვდა და ხელოვნებასაც, მავანთა ბინძური ენა კი „კვარასაც“. არ გავიმეორებ მისკენ მიმართულ გესლიან სიტყვებს, მაგრამ გულსატკენია, რომ ამ გესლს სწორედ მისი თანამემამულენი აფრქვევენ, ბოროტების მსახურად დანიშნული პროფესორი იქნება თუ ჟურნალისტი...

იტალიურ ფეხბურთში ერთ-ერთმა ყველაზე სკანდალურმა კაცმა, პაოლო დი კანიომ ხვიჩა კვარაცხელიაზე საუბრისას საქებარი სიტყვები არ დაიშურა: „ქართველის მიმართ ჩემი აღფრთოვანების დამალვა არ შემიძლია. მას წინასწარ შეუძლია მოწინააღმდეგის თამაშის წაკითხვა. „ატალანტასთან“ გოლზე ვთქვათ: ბურთს არ უყურებს, ის ფეხებზე აქვს მიკრული, მხოლოდ მოწინააღმდეგეს აკვირდება. ჩემს თავს მაგონებს, მაგრამ მე ზედმეტი მომდიოდა და ბურთს ვკარგავდი, კვარა ურტყამს და გააქვს. მასში სილამაზისა და კონკრეტიკის ბრწყინვალე სინთეზია. სხვა ყველა გარემარბისგან ის იმით განსხვავდება, რომ მეტოქისთვის ლეტალურია...“

„ხვიჩა კვარაცხელია ფენომენია. თუ ბურთის აღების ნებას მისცემ, ის გაგარღვევს. იმის გასაგებად, თუ რა შესაძლებლობების მქონეა, თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ მის მოძრაობას მოედანზე. ის ბურთს იღებს და საკმაო ხანს ინარჩუნებს, შემდეგ კი ამოირჩევს მოწინააღმდეგეს და გამიზნულად მიდის მასზე. და როგორ უნდა გავაჩეროთ იგი? თანამედროვე ფეხბურთში მას უპირატესობა აქვს, რადგან მცველებს დიდი არჩევანი არ აქვთ, მათ ბევრი რამის გაკეთება არ შეუძლიათ: სამოსზე ვერ შეეხები, რადგან გაფრთხილებას მიიღებ; თუ ჩაარტყამ და მოცელავ, მოედნიდან გაგაძევებენ...“ — ამბობს ლეგენდარული იტალიელი ცენტრალური მცველი ფაბიო კანავარო.

არაერთი იტალიური გრანდისა და იტალიის ნაკრების ყოფილმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა, კრისტიან ვიერიმ ხვიჩა კვარაცხელიას მიერ იტალიის სერია A-ს 26-ე ტურში, „ატალანტას“ კარში გატანილი გოლისა და მისი შესაძლებლობების შესახებ ისაუბრა: „სპალეტი რაღაცებს მხოლოდ სათქმელად კი არ ამბობს. როცა მან თქვა, რომ „კვარამ“ მარადონას მსგავსი გოლი გაიტანა და კიმი დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო მცველია, მას ამის თქმის საფუძველი და მიზეზი ჰქონდა. კვარაცხელიას გოლი სიგიჟეა! თუ კვარაცხელია „მანჩესტერ იუნაიტედში“ წავა, ჯორჯ ბესტის დრო ნამდვილად დაბრუნდება.“

მილანის „ინტერისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი ჯუზეპე ბერგომი: „ხვიჩა კვარაცხელიას მიერ „ატალანტასთან“ გატანილი გოლი ულამაზესი იყო, ერთ-ერთი ულამაზესი, რომელიც ბოლო წლებში მინახავს. მისი შეჩერება რომ მეცადა, მეც მიწაზე დავვარდებოდი. კვარას შეუძლია მოგპაროს დრო და ფინტებით თავბრუ დაგახვიოს. ის ძალიან კარგი იყო. კვარას და კაკას ერთმანეთს ადარებენ, მე კი ვიტყვი, რომ რონალდოს მსგავსი უნარ-ჩვევების მქონე ფეხბურთელია.“

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული სპორტული გამოცემის ESPN-ის ინდოეთის გამოცემის ვერსიამ ხვიჩას შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „იშვიათი, ბრწყინვალე, ქაოსი, რომელიც ხვიჩა კვარაცხელიამ შექმნა — შაბათ-კვირის მთავარი მომენტი.“

„შეხედეთ ხვიჩა კვარაცხელიას სათამაშო ჩაცმულობასა და სათამაშო სტილს: თითქმის ტერფებამდე ჩაწეული გეტრები, გადაადგილების თავისუფალი მანერა, თითქოს 90-იანი წლების რეტრო პერიოდში მეგობრებთან შესახვედრად მიდის. რამდენიმე შეხება ბურთთან, — თითქოს ყველაფერი ასე მარტივია. ყოველთვის, როცა ის ბურთს იღებს, მაყურებელი დაბნეულია და ფიქრობს: „ვაუ, რა გააკეთა მან ახლა?“ მას აქვს სუფთა ბრწყინვალება და ნახეთ, რამხელა გავლენას ახდენს მისი თამაში „ნაპოლიზე“. მათ ძალიან შეიყვარეს იგი და მიანიჭეს უდიდესი პატივი, რაც კი შეიძლებოდა მიენიჭებინათ — მას „კვარადონას“ უწოდებენ. მან ამის მიზეზი კიდევ ერთხელ აჩვენა — გოლის ეპიზოდში, კვარაცხელიას ყოველი შემდეგი შეხება იყო ბურთის ხელახლა გადატანა მარჯვნივ, სიჩქარისა და ნელი მოძრაობის აუხსნელი კომბინაციით სვლა, როგორც ამას „მატრიცაში“ ნეო აკეთებს. მის წინააღმდეგ სამი მცველია. მეკარეს წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება, ბურთი კი „ატალანტას“ კარშია.“

ხვიჩას თამაშს დიდი გამოხმაურება მოსდევს იტალიურ მედიაში: „ამ ბიჭისთვის, რომელიც ფეხბურთის არსია, რთულია ზედსართავი სახელების მოძებნა“; „მხოლოდ „კვარას“ გამო ღირს ბილეთის ყიდვა“;

ხვიჩა კვარაცხელია იტალიის სერია A-ს თებერვლის თვის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. „კვარამ“ გამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმა მიიღო ფედერიკო ბასკიროტოს, ანხელ დი მარიას, ალექსეი მირანჩუკსა და თანაგუნდელ ვიქტორ ოსიმენს შორის. ამავდროულად, EA Sports-ის სპეციალური ჯილდოც მოიგო და გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელიც აღნიშნულ პრიზს ერთ სეზონში ორჯერ დაეუფლა.

იტალია იტალიად და აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გამოცემის „THE NEW YORK TIMES-ის“ ჟურნალისტი, რორი სმიტი სპეციალურად ჩავიდა ნეაპოლში რომ ხვიჩას თამაში ცოცხლად ენახა, რის შემდეგაც 22 წლის ქართველი ვარსკვლავის შესაძლებლობები აღმატებით ხარისხში შეამკო: „ამერიკაში განსაკუთრებულად აფასებენ პირველი კლასის ტალანტს. „კვარა“ სხვა ჩემპიონი მოთამაშეებისგან განსხვავდება. მას უჩვეულო ნიჭი აქვს. ის ევროპის ყველაზე საოცარი ფეხბურთელია. ევროპული ფეხბურთი თითქმის არასდროს გვთავაზობს სიურპრიზებს. დიდი ჩემპიონები, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში არიან და მათზე დამყარებულ იმედებს ამართლებენ, გოლებს იტანენ და აღიარებას იღებენ, მაგრამ „კვარა“ საერთოდ სხვაა.“

„ნაპოლის“ ყოფილმა მცველმა მაურო მილანეზემ სამხრეთიტალიური გუნდის ამჟამინდელი ბრწყინვალე სეზონისა და ხვიჩას შესახებ ისაუბრა: „ხვიჩა კვარაცხელია ყველაზე დიდი სიურპრიზია ჩემპიონატში. ვერავინ წარმოიდგენდა ამ გავლენას. მისი ღირებულება გაცილებით დიდია. ის არ არის კილიან მბაპე, მაგრამ მას აქვს საკმაოდ დიდი მომავალი და ამის გამო ბევრი მილიონი ღირს.“

მადრიდის „რეალის“ ლეგენდარულმა ნახევარმცველმა გუტიმ ესპანელ საფეხბურთო ჟურნალისტ ხოსე პედრეროლთან საუბრისას მისგან შეიტყო, რომ „კვარას“ ბავშვობის კუმირი გუტი ყოფილა. „კვარას“ კუმირი ვარ? დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. იმედი მაქვს, რომ დადგება დრო, როცა მსოფლიოს საუკეთესო კლუბ მადრიდის „რეალში“ გიხილავ. მალე ჩემს მაისურს გამოგიგზავნი ხელმოწერით,“ — ასეთი იყო გუტის პასუხი და საჩუქარმაც არ დააყოვნა: „ხვიჩასთვის! იმედია მაისური მოგეწონა და ასევე იმედია, შენი ოცნება ახდება, გელოდები მადრიდში!“ — მისწერა გუტიმ „კვარას“.

მილანის „ინტერის“, „მილანის“, „რომას“, მადრიდის „რეალის“ და იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ანტონიო კასანო ყოველთვის გამოირჩეოდა ხვიჩას მიმართ დადებითი განცხადებებით, ახლა კი მისი პირადი გულშემატკივარი გახდა: „ჩემთვის კვარაცხელია, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მარცხენა გარემარბია. ის კომანზე ძლიერია, გრილიშზე ძლიერიც. მას თავისუფლად შეუძლია „ბარსელონაში“ თამაში. კვალე იყოს! შეუძლებელია, გოლი გავიდეს!... მაგრამ მან ეს გააკეთა!“

„ის გენიოსია და ჩემთან შედარება სამარცხვინოა. ბურთს არც უყურებდა და ყველაფერი წარმოუდგენელი სისწრაფით გააკეთა. მიუხედავად მისი სიმაღლისა, გასაოცარი დრიბლინგი აქვს,“ — განაცხადა დი კანიომ.

ნეაპოლური კლუბის საიტი: „კვარაშოუ — ზეციური სინათლის ანარეკლი „მარადონას“ მე-60 წუთზე ანათებს. კვარაცხელია ვარსკვლავურ ორბიტაზე შედის, მეურვეებს იცილებს, ბურთი ხავერდოვანი მოძრაობით მარჯვენა ფეხზე გადააქვს და მთელი დინამიკითა და სიძლიერით ულამაზესი გოლი გააქვს, რომელიც, როგორც თანამედროვე, ასევე რომანტიკულ ფეხბურთს მოგაგონებთ და ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.“

წიგნს ხვიჩა კვარაცხელიაზე „ხვიჩა, ვარსკვლავი სახელად ვარსკვლავი“ რომაული გამომცემლობა „Aletti Editore“ გამოსცემს.

ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონთა ჟურნალის სპეციალურ გამოშვებაში მოხვდა. მის შესახებ ვრცელი სტატიაა გამოქვეყნებული და მოხსენიებულია მიმდინარე სეზონის მთავარ აღმოჩენად.

„ტორინოს“ მწვრთნელმა ივან იურიჩმა ხვიჩას შესახებ: „კვარას“ ვერ შეაჩერებ. შეიძლება, ორი მეურვე მიუჩინო, მაგრამ მაშინ, მარიო რუის და სხვა ნახევარმცველებს თავისუფალ სივრცეს უტოვებ. „კვარას“ წინააღმდეგ თამაშისას, უბრალოდ, პირჯვარი უნდა გადაიწეროდ და იმედი იქონიო, რომ მისი დღე არ იქნება.“

„ტორინოს“ პირჯვრის გადაწერამ არ უშველა. „ნაპოლი“ ტურინში ესტუმრა „ტორინოს“ და ანგარიშით 0:4 სძლია. „კვარამ“ თერთმეტმეტრიანი დარტყმით უშანსოდ დატოვა „ტორინოს“ მეკარე, შემდეგ კი, „კვარას“ პასით ნდომბელემაც გაიტანა გოლი....

მაკა ჯაყელი

ნეოლიბერალიზმიდან იდიოტიზმამდე...



ᲖᲣᲠᲐᲑ ᲪᲣᲥᲘᲠᲘᲫᲔ
პედაგოგიკის დოქტორი,
განათლების მეცნიერებათა
აკადემიის წევრი

იქნებ, დავფიქრდეთ ცალ-ცალკე და ყველა ერთად, სად არის და რა არის გამოსავალი, თორემ ამ უბედურების, ანუ ნეოლიბერალური იდიოტიზმის ასე პანდემიასავით გავრცელების მიზეზი რაც არის, მართლა იდიოტი უნდა იყო, რომ ვერ ხვდებოდე.

კაცს თუ ხალხს ღმერთი რომ გაუწყრება, ჯერ ჭკუას გამოაცლისო, - ნათქვამია. სამწუხაროდ, ჩვენში ძალიან გამრავლდა ჭკუაგამოცლილების ჯგუფები, რომელთაგანაც ზოგი ქუჩაში დაყიალობს, რიგი მიტინგებსა და დემონსტრაციებს ატარებს, ზოგი პარლამენტში ყაყანებს, ზოგი დიდ- დიდ თანამდებობებს უკავებს და კაბინეტებშია მოკალათებული, ზოგი ბიუჯეტის ფულებით უცხოეთშიც დაეთრევა საკუთარი თავის სასარგებლოდ და სამშობლოს საზიანოდ, ზოგიერთი კი სხვათა ომებში იბრძვის მამაცურად ("სხვის ომში მამაცურად მხოლოდ სულელები იბრძვიან!"- კ. გამსახურდია).

სულელები არც სხვებს აკლიათ, ჩვენს ახლო თუ შორეულ მეზობლებს, მაგრამ ისინი ჩვენზე მრავალრიცხოვანი ქვეყნებია და იმდენ საფრთხეს ვერ შეუქმნიან. მე ჩემი ქვეყნის ბედი მაწუხებს: ამდენი სულელი რომ გყავს ქვეყანაში, რა ხეირი უნდა ნახო, ნეტა? ერთი ძველი სენტენცია ღაღადებს: ათასი მტერი სჯობია ერთ სულელ მეგობარსაო. ჰოდა, ამდენი სულელი რამდენი ნორმალური ადამიანის მეგობარია, დაითვლის ვინმე? აბა, იფიქრეთ, ერთი სულელი თუ ათას მტერს უდრის, რამდენი მილიონი მტერი შემოგვსევია უკვე!

სად არის გამოსავალი?

სულელს თავისი ადგილი ჰქონდეს მიჩენილი და სერიოზული საქმის სიახლოვეს არ გავაჭაჭანოთ, რადგან სულელი არც მკურნალობას ექვემდებარება, არც სამართლებრივ ნორმებს და არც ცემით შეიძლება მათი ინტელექტის ამაღლება.

როდესაც ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგს სულელები განსაზღვრავენ, მაშინ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა შეიძლება ერთი სიტყვით განისაზღვროს - იდიოტიზმი.

ნომერ პირველ იდიოტიზმად განათლების სისტემის მართვის პრაქტიკა უნდა მივიჩნიოთ. განათლების სისტემას აღზრდის სისტემა არ აქვს, ანუ სისტემის მესვეურებმა არ იციან, ვის ზრდიან: ამერიკელებს, გერმანელებს, სომხებს, ჰოლანდიელებსა თუ ისლანდიელებს, მაგრამ ის იციან, რომ ქართველებს არ ზრდიან, ეს იდიოტიზმია, აბა, რა არის?

სამი ათეული წელია, ვცდილობთ, დავარწმუნოთ განათლების სამინისტრო, რომ აღზრდის გარეშე პიროვნების სრულყოფილი სოციალური განვითარება შეუძლებელია. რასაც უდავოდ ადასტურებს ფსიქოლოგია, მრავალი საუკუნის განმავლობაში გაწეული კვლევა-ძიებითა და საკაცობრიო განვითარების ანალიზის საფუძველზე, მაგრამ ესმის ვინმეს? უცხოური გრანტები უფრო დამაჯერებელია და დაიჯერეს ნეოლიბერასტების „დასკვნა": **აღზრდა პიროვნებაზე ძალადობააო**. ეს განწყობა კარგად გამოხატა ჩვენი პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა, საქართველოს იმდროინდელი ამირსპასალარის, თინას მეუღლემ დავით უსუფაშვილმა: მე და თინა ჩვენს შვილებს იმას კი არ ჩავაგონებთ, რომ პატრიოტებად გაიზარდონ და სამშობლოს შესწირონ თავი, არამედ თავისუფალ პიროვნებებად ვზრდით, რომლებიც შემდგომში თვითონ გადაწყვეტენ, ვის შესწირონ თავიო. აი, მამალი ნეოლიბერალის კრედო! გიჟი თავისუფალიაო, - ამბობდა ცხონებული ბებიაჩემი ოლღა არევაძე და მართალიც იყო, მაგრამ, ამ შემთხვევაში, პარლამენტის ყოფილი სპიკერი გიჟი არ არის, **იგი ღვთის გარეგანი კაცების აზრს გამოხატავს**, რაც იდიოტიზმის დამაჯერებელი მაგალითია.

ის, რაც ახლა განათლების სისტემაში ხდება, ის ზნეობრივი გადაგვარება, რაც ჩვენი „სტრატეგიული" და დაუძინებელი „მეგობრების" დაკვეთითმიზნად დაუსახავს სისტემის ხელმძღვანელობას, უკვე აღწევს თვალსაჩინო შედეგებს: ქვეყანა გაივსო ამ **„ᲐᲚᲣᲖᲠᲓᲐᲓᲘ"** განათლების სისტემის მიერ მომზადებული უვიცებით. სოკოებივით მომრავლებული ტელევიზიები გაივსო ქართულის მცირე მცოდნეთა და პროფესიული უვიცების ლეგიონებით. ტელეწამყვანთა და ჟურნალისტთა უდიდესმა ნაწილმა ელემენტარული ათწილადის წაკითხვა არ იცის. მაგალითად, 11,15% ასე კითხულობენ: ათი მთელი თხუთმეტი პროცენტი. არც ჩვენი საჯარო მოხელეები გამოირჩევიან დახვეწილი ლიტერატურული ქართულის ცოდნით.

ზოგიერთ ბრიყვს ჩემი ნათქვამი ანტიმედასავლეთეს ბოღმის გამოხატულებად მოეჩვენება. ამნაირებს ვეკითხები: ერთი მითხარი, ევროპელობის მოწადინე კავკასიელო, ინგლისელს თუ აქვს „შვილის", „ბიძაშვილის", „დეიდაშვილის", „მამიდაშვილის" ცნებები? თუ არ იცი, ინგლისურის, ფრანგულის ან რუსულის მცოდნეებს ჰკითხე და მერე გაიგებ, ვინ არის კულტურულად წინ მდგომი და ვინ - უკან. ამერიკელი ფილოსოფოსი ხოსე გარსია ი. გასეტი წიგნში „მასების ამბოხი" წერს: „ამერიკაში უმაღლესი ტექნოლოგიებისა და ცივილიზაციის უკან ველური საზოგადოება იმალებაო".

წელან ვთქვით, ჩვენი განათლების სისტემას აღზრდის კონცეფცია არ აქვს თორემ, ანტიაღზრდის ნეოლიბერალურ დირექტივებს სისტემატურად იღებენ ჩვენი დაუძინებელი დასავლელი მეგობრებისაგან, რომელთა მიზანია, ჩვენს მომავალ თაობებს დაავიწყონ ვინაობა და სადაურობა, ქართული ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, ენა და კულტურა, წარსული და წინაპრების ხსოვნა, საკუთარი სქესობრივი კუთვნილება და ნათესაური კავშირები... ჯვარი აქაურობას, ნუღარ ჩამომათვლევინებთ!

ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერა განა იდიოტიზმი არ არის?

იდიოტიზმის ერთ-ერთი მომაკვდინებელი მოქმედება თუ უმოქმედობაა მძვინვარე პანდემიისადმი, ანუ რუსოფობიისადმი წაყრუება, რამაც ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დააავადა.

რუსოფობია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ფობია, უმძიმესი დაავადებაა, თუმცა სხვა ფობიებისაგან განსხვავებით, იგი ჩვენი ეროვნული გადაშენების ჰიპერაქტიულ ვირუსებს შეიცავს. ჩვენი თუ უცხოელი რუსოფობების რიტორიკასა ქცევას თუ დააკვირდებით, სრულიად ცხადად დაინახავთ, რომ მათ გონიერების ნატამალი არ აქვთ შერჩენილი. მათ არც ისტორია უსწავლიათ, არც გეოპოლიტიკა გაუგონიათ, არც კულტურაზე აქვთ რაიმე წარმოდგენა და, რაც მთავარია, ადამიანის არსის შესახებ ბაიბურშიც არ არიან. ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს რომ ვუცქერი (განსაკუთრებით ქართველებს), ერთი იგავური ამბავი მახსენდება: ერთი ახალგაზრდა კაცი დურგალთან მივიდა და სთხოვა, ბიძია, ერთი ნალის დასაჭედი ლურსმანი ჩამარჭე თავშიო. შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, ლურსმნის თავში ჩაჭედება რამ გაფიქრებინაო, - გაიკვირვა დურგალმა. - რამ და, დალაქზე ვარ გაბრაზებული და თმის საკრეჭი მაკრატელი მინდა გავუტეხოო. აი, ასე აზროვნებენ ჩვენი რუსოფობები.

ამას წინათ ერთი დეპუტატი გამოდიოდა პარლამენტში, რომელი პარტიიდან იყო, არ ვიცი და არც მნიშვნელობა აქვს, ყველა რუსოფობი ერთნაირად სულელია. იმ სულელმაც ისეთი რამეები იბჟუტურა, ვიფიქრე, ამას დაწყებითი სკოლის კურსიც კი არ ექნება გავლილი-მეთქი. ახლა მე ვკითხულობ: ამნაირი კაცები რომ სხედან სკანონმდებლო ორგანოში და ჩვენც გვასმენინებთ მათ ბჟუტურს, ეს განა იდიოტიზმი არ არის? თქვე კაი ხალხო (ხელისუფლებას ვეუბნები!), ის რომ თქვათ, რუსეთთან საავიაციო ფრენების აღდგენა და აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის განახლება ჩვენი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისაო, ვითომ ბაიდენი თუ ბლინკენი ყურებს დაგაჭრით?! თუ მართლა ყურების დაჭრისა გეშინიათ, მაშინ ჯაფარიძე გირჩის პარტიელებივით ჩაიხადეთ ნიფხვები და ეახლეთ თქვენს დაუძინებელ სტრატეგიულ „მეგობრებს" „ოქროს" ურდოში!

ოთხმოცდაათი წლის წინათ დასამარებული და დასავლეთში მძიმედ დაჭრილი ტროცკიზმი, აგრესიული ნეოლიბერალიზმი კვლავ აღორძინდა. ის სადღაც კულუარებში და ქუჩის ბრბოს მოქმედებებში კი არ ყელყელაობს, პირდაპირ პარლამენტის ტრიბუნაზე დგას. ამასწინათ პარლამენტის ტრიბუნიდან ორმა „ხალხის რჩეულმა" დეპუტატმა, გაურკვეველი ეროვნებისა და სადაურობის არსებებმა - ხათუნა სამნიძემ და რომან გოცირიძემ განაცხადეს: პარლამენტის წინ რაღაც მახინჯი რკინის კონსტრუქცია რომ დგას, ე.წ. ვწმინდა ნინოს ჯვარი, ნერვებს გვიშლის და უნდა აიღოთო, მით უმეტეს, რომ მის დადგმაზე ქალაქის მერიას ნებართვა არ გაუციაო!

ვის უშლის ნერვებს და ვის ემართება ელეთმელეთი ჯვრის დანახვისას? ეშმაკს და მაცილს! ჩვენ თუ იდიოტიზმის ვირუსი არ გვაქვს შეყრილი, როგორ ვაჩერებთ პარლამენტში ამ და მათ მსგავს სატანისტებს? ამაზე შორს ხალხის გამოთაყვანება ვერ წავა! მართალი ყოფილა აინშტაინი, რომ ამბობდა: სამყაროს აქვს საზღვარი, ადამიანის სისულელე კი უსაზღვროაო.

სწორედ ამ უსაზღვროების მაგალითია ყოფილი პრეზიდენტის სასამართლოც და უკვე მისჯილი სასჯელის აღსრულების ფორმაც. დარწმუნებული ვარ, ეს მაგალითი ჩვენს ისტორიაში დარჩება (თუ ვიარსებეთ, რა თქმა უნდა!) ბევრი კომიკური ნაწარმოების თემად. ეს მომავალში, თორემ დღეს ეს სულაც არ არის კომიკური და ვინმეს საღლიცინო. სააკაშვილი თუ დამნაშავეა რასაც დაბეჯითებით ამტკიცებენ ხელისუფლება და უამრავი დაზარალებული, მაშინ ეს ყველაზე დიდი დამნაშავე რატომ არის იმპერტორისთვის საკადრის პრივილეგიებში, რატომ ჰყავს ამდენი ვიზიტორი, რატომ დასტრიალებენ თავს აქაური თუ იქაური ექიმები და ვექილები? და თუ იგი უდანაშაულოა, საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელია, ახალი ეპოქის აღმაშენებელი და დემოკრატიის შუქურაა, რომელსაც თავისი ფეხით ეახლა აშშ-ის პრეზიდენტი ბუში და კინტაურიც უცეკვა, თუ მართლა მძიმე ავადმყოფია, რომელსაც ორ პარლამენტის შესასვლელში და ა.შ. ახლა მე ვეკითხები, ვისაც ჯერ არს: თუ ეს ხალხი, როგორც ხსირად აცხადებთ, არეულობას და რევოლუციას გეგმავს, მაშინ ასეთი მუქარა და მისი განხორციელების მცდელობა სისხლის სამართლის დანაშაულია ნებისმიერ ე.წ. ციილიზებულ სახელმწიფოში და თუ ისინი, თქვენც (ჩემსავით!) იდიოტებად მიგაჩნიათ, მაშინ მათი საჯაროდ ჩვენება და დაცინვა, აგრეთვე, სისხლის სამართლის დანაშაულია, რაზეც პასუხისმგებლობა თქვენ, ხელისუფლებას მოგეკითხებათ.

ერთი რამ ვერ გავიგე ამ უსწორმასწორო ქვეყნის იდიოტური პოლიტიკის ლაბირინთში: ეს ჩვენი ქართული გვარის მქონე არაქართველი პრეზიდენტი მართლა იდიოტია, თუ რაღაც ეშმაკურ პოლიტიკას ეწევა მტრების დასაბნევად!

ვინმესგან პასუხს არ ველი, მაგრამ იქნებ, დავფიქრდეთ ცალ-ცალკე და ყველა ერთად, სად არის და რა არის გამოსავალი, თორემ ამ უბედურების, ანუ ნეოლიბერალური იდიოტიზმის ასე პანდემიასავით გავრცელების მიზეზი რაც არის, მართლა იდიოტი უნდა იყო, რომ ვერ ხვდებოდე.

არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ წერილს დაბეჭდავენ ის რედაქტორები ვისაც გავუგზავნე. იტყვიან, ალბათ, ახლა ამის დრო არ არისო. ცდებით, მეგობრებო! ამის დაბეჭდვისთვის უხიფათო დრო რომ დადგება, მაშინ ძალიან გვიანი იქნება, იქნებ, ისე გვიანაც, რომ ჩვენთვის ამას, შესაძლოა, აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს.

დავით კალანდია: ბოლო დროს მგონია, რომ მიშა აღარ არის პირველი ვიოლინო ამ ორკესტრში

„ვინც მოზარდზე ზეწოლას ახდენს და ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში ბოლშევიკური მეთოდებით მოქმედებს, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, სათანადოდ უნდა დაისაჯოს“, - ასე მიაჩნია POSTV-ის პოლიტიკურ-სატირული გადაცემის, „გვერდიდან“ წამყვანს. ის აღნიშნავს, საზოგადოებაში, რომელიც ორადაა გაყოფილი, ბევრი რამ არის შესაცვლელი და ძალიან დიდი ჩატეხილი ხიდია ორივე მხარეს... რას პასუხობს ოპონენტებს დავით კალანდია, რატომ მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი „ნაციონალების“ „პირველი ვიოლინო“ აღარ არის და რატომ ადარებს თანამედროვე მწერლებს ზურიკელა ვაშალომიძეს, ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს?

- ვისაც ეს კანონ იშემოჰქონდა, ის ჯერ უნდა განეხილა საზოგადოებაში, გაეკეთებინა სოციალური რეკლამები, გაემართა დისკუსია კანონის ავკარგიანობის შესახებ, არამხოლოდ პარლამენტის წევრებსა და ოპოზიციასთან, მოსახლეობასთანაც და შემდეგ გადაეწყვიტა მისი მიღება ან უარყოფა. მე, რადგან არანაირი შეხება არ მაქვს ამ კანონის მოქმედებასთან, ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ, როცა ოპოზიციამ მას რუსული კანონი დაარქვა, დავინტერესდი და მისი რუსული და ქართული ვერსიაც წავიკითხე. მათ შორის თანხვედრა იყო, ალბათ, სულ რაღაც, ორ ქვეპუნქტში. ის სრულიად სხვა კანონია, ჩვენი სხვა იყო, მაგრამ იყო თუ არა საჭირო მისი მიღება, ამ საკითხზე პასუხი არ მაქვს. რასაკვირველია, თუ მისი საშუალებით გვეცოდინებოდა, რომელი დონორი რომელ ენჯიოს აფინანსებს: რუსეთია ეს, ჩრდილოეთ კორეა თუ ბრაზილია... ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ ამ ყველაფერს განმარტება სჭირდებოდა. სასურველი იყო, ტერმინოლოგიაც შეეცვალათ, მაგალითად, სიტყვა „აგენტი“, რომელიც რატომღაც „შპიონად“ მიიჩნევა... მაგრამ მე აქ სხვა მომენტი უფრო არ მსიამოვნებს: როდესაც აშშ-ის წარმომადგენელი ამბობს, რომ მათთვის შეიძლება ეს კონკრეტული კანონი მისაღები იყოს და ჩვენთვის - არა, რადგან ჩვენ არ ვართ მზად! - ეს არის ჩემთვის დამამცირებელი.

გარდა ამისა, კანადამ დაიწყო აღნიშნულ კანონზე მუშაობა. როგორც ვიცით, ევროსაბჭოშიც იწყება მისი განხილვა. მსგავსი კანონი არსებობს დიდ ბრიტანეთში, სადაც ოქტომბერში კონკრეტული ქვეპუნქტები გაამკაცრეს კიდეც და რა გამოდის... ბოლოს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ყველა ქვეყანა მიიღებს მას, ჩვენს გარდა... თუმცა, გასაგებია, რადიკალური ოპოზიცია რისი რადიკალური ოპოზიციაა, თუ ასეთე რამ სათავისოდ არ გამოიყენა...

- თუ გავითვალისწინებთ ვანო მერაბიშვილის მიერ უკრაინელი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუს, არ არის გამორიცხული, რომ აქციების უკან მერაბიშვილი იდგა. მანვე აღნიშნა, რომ მხოლოდ მიშას შეუძლია, „ივანიშვილის რეჟიმი ნახევარ საათში დაასრულოს“...

- სრულიად შესაძლებელია, ვანო ყოფილიყო, შეიძლება კეზერაშვილიც იდგა ამ ყველაფრის უკან, მაგრამ აშკარად კარგად ორგანიზებული პროტესტი იყო. ყველაზე ცუდი რაც მოხდა, ისაა, რომ ახალგაზრდობა გამოიყენეს. თუმცა, როცა ცნობილი გახდა, რომ სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს ამ კანონზე მუშაობა, ახალგაზრდების ნაწილი მიხვდა რადიკალების ჩანაფიქრს და ეს კარგია.

საინტერესოა, ვანოს როგორ წარმოუდგენია, რომ მიშა ნახევარ საათში „დაამხობს“ ხელისუფლებას, ეს როგორ უნდა მოხდეს? წელიწად-ნახევრის წინათ, როცა ის კონტეინერით ჩამოაპარეს საქართველოში, არავინ შეწუხებულა მიშას გამო მისი პარტიიდან. რატომ ჩამოვიდა, ვინ მოატყუა, ან რა უთხრეს, რას დაჰპირდნენ, ესაა საინტერესო: რომ ჩამოხვალ, ხალხს გამოვიყვანთ და რევოლუციას მოვაწყობთო? მაშინ თუ არ დადგა ხალხი მის გვერდით, ახლა როგორ აპირებს „გადატრიალებას“, ახალი თავმჯდომარის დახმარებით ხომ არა?!

ძნელია, ხაბეიშვილზე დაბალი დონე მოძებნო, მაგრამ „ნაცები“ ნიჭიერი ხალხია და თუ დასჭირდათ, უფრო დაბალ დონესაც მოძებნიან... აბსოლუტურად გაუგებარია, ვის აძლევდა ხელს ამ კომიკური ფიგურის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნა. მასთან შედარებით ნიკა მელია ნამდვილი „მოზგია“.

მიშასთან შეთანხმების გარეშე, შეიძლება დღესაც არაფერი ხდება, მაგრამ ბოლო დროს მგონია, რომ **მიშა აღარ არის პირველი ვიოლინო ამ ორკესტრში, ვიღაც სხვა უნდა იყოს. არც ვანო და არც კეზერაშვილი დიდი ჭკუისა და ინტელექტის პატრონი არ არიან, ვიღაც სხვა უნდა ჰყავდეთ, ვისი გამოჩენაც ჯერ არ უნდათ...**

-ეს აქციები ჩემი შვილისთვის ბრძოლაც იყოო, განაცხადა გიული ალასანიამ და აღნიშნა, რომ იქ „მიშას თაობა“ იდგა.

- მიშას თაობაში, ალბათ, იმას გულისხმობდა, რომ მიშას გამოზრდილი თაობა იყო... ამ ქალის ლაპარაკზე ვხალისობ, სიმართლე გითხრათ, თუმცა როდემდე გაგრძელდება ეს ყველაფერი, არ ვიცი. მიშას ძალიან უყვარს საკუთარი თავი და მშვენივრად იცის, რა დონემდე მიიყვანოს საკუთარი ჯანმრთელობა, რომ სერიოზულად არ დაზიანდეს. ასე რომ, მაგას არაფერი დაემართება. რასაკვირველია, მისი სიკვდილი არავის გვინდა და იმედი მაქვს, იმ მცირე სასჯელს ბოლომდე მოიხდის, თუმცა რატომ ზის კლინიკაში და არა ციხეში, ვერ გამიგია. ციხეში რომ გადაიყვანონ, იქნებ, უცებ გამოჯანმრთელდეს!

- ახალგაზრდები ახსენეთ და... სულ ახლახან, თსუ-ში ლექციის ჩატარების დროს, ირაკლი კობახიძეს პროვოკაცია მოუწყეს. როგორც აღმოჩნდა, პროვოკატორი საერთოდ არ ყოფილა თსუ-ს სტუდენტი და გარკვეული თანხაც კი გადაუხადეს ლექციის ჩასაშლელად...

- წლები გადის და განათლების სისტემაში არაფერი იცვლება, რაც ძალიან სამწუხაროა. არადა, სერიოზულად მისახედია ეს სფერო... პირველ რიგში, უნდა გადაიხედოს პროფესორ-მასწავლებლების ანაზღაურება. როგორც ვიცი, საკმაოდ დამამცირებელი ხელფასი აქვთ ამ ადამიანებს უმაღლეს სასწავლებლებში, იმ რეჟიმსა და პასუხისმგებლობასთან შედარებით, რაც მათ აკისრიათ.

გარდა ამისა, ვფიქრობ, სამართლებრივი ჩარჩოც უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ მსგავსი აღარაფერი მოხდეს და სტუდენტის მომავალი ვიღაცის პოლიტიკურ ინტერესებს არ ეწირებოდეს. რექტორატი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ პროვოკატორებს საკადრისი პასუხი გასცეს. მინდა, იმედი მქონდეს, რომ ამჯერად საკადრო ცვლილება გაამართლებს და განათლების ახალი მინისტრი ნამდვილად იქნება ღირსეული კანდიდატი ამ ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

- უნივერსიტეტი, სკოლა და საბავშვო ბაღიც კი რომ პოლიტიზებულია, ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტიც, რაც ამ დღეებში გახდა ცნობილი. მიხეილ ყაველაშვილის შვილი მასწავლებელმა სოციალურ ქსელში მონიშნა, როგორც „მოღალატის შვილი“, რის გამოც ბავშვმა გონება დაკარგა...

-ეს ფაქტი ჩემთვის ისეთი უცნაური, მიუღებელი და დაუჯერებელია, რომ ყალბი ინფორმაცია მეგონა თავიდან. ეს არის სუფთა ბოლშევიკური მეთოდი. გასული საუკუნის 30-იან წლებში სხვას კი არაფერს აკეთებდნენ, ხალხის მტრის შვილებად აცხადებდნენ ადამიანებს. საერთოდ, ღმერთმა იცის, ვის რისთვის აკრავდნენ ამ იარლიყს, მაგრამ მერე მთელ მის ოჯახს ხალხის მტრის ოჯახის წევრებად რაცხავდნენ. ანალოგიური სიტუაციაა ამ შემთხვევაშიც. თუ ეს დაუჯერებელი დანაშაული ნამდვილად მოხდა, ამ ფაქტის უპასუხოდ დატოვება არ იქნება სწორი. „ნაცი“ იქნება ეს თუ „ქოცი“, ოპოზიციის თუ ხელისუფლების წარმომადგენელი, ვინც მოზარდზე ზეწოლას ახდენს, სათანადოდ უნდა დაისაჯოს.

- ჰააგის სასამართლოს მიერ პუტინის დაპატიმრების ორდერი გაიცა, რის საფუძველზეც მას 123 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შემთხვევაში, დააკავებენ. როგორ შეაფასებდით ამ გადაწყვეტილებას?

- ფაქტი სერიოზულია იმ მხრივ, რომ პუტინი სამხედრო დამნაშავედ ცნეს 2022 წლის 24 თებერვლიდან, რაც ოფიციალურად გააფორმა ჰააგის სასამართლომ. ცხადია, მას არავინ დაიჭერს და რომც ჰქონდეთ სურვილი, მაინც ვერ დაიჭერენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მსოფლიო ლიდერებმა მასთან კონტაქტი უნდა შეწყვიტონ... დიდად არც ეკონტაქტებიან, როგორც ვიცი და არც პუტინია მოგზაურობის მოყვარული. როგორ აპირებენ მის დაკავებას, გაუგებარია, მაგრამ, არ მგონია, პუტინი ახლა კარგ ხასიათზე იყოს. ის დიდხანს ცდილობდა მსოფლიო ლიდერების გვერდით დადგომას, მაგრამ მათ არ მოინდომეს და გვერდით არ დაიყენეს, რადგან, ჩემი აზრით, პუტინს სერიოზულ ადამიანად არ აღიქვამენ. სწორედ ამ მიზეზმაც შეუწყო ხელი მის საბოლოოდ გაბორო-

ტებას. ყველა მეთოდს მიმართავს იმისათვის, რომ მსოფლიოს საკუთარი „ძალა“ დაანახოს...

- საქართველოს პენ-ცენტრმა დეპუტატ ელისო ბოლქვაძისთვის მშვიდობის ელჩის სტატუსის ჩამორთმევის თაობაზე იუნესკოს გენერალურ დირექტორს მიმართა. წერილს ხელს 128 ადამიანი აწერს. თქვენ კი მათი უმეტესობა ზურიკელა ვაშალომიძეს შეადარეთ...

- დიახ, ეს ჩემი მოკრძალებული აზრი იყო (იცინის)... მე ცოტა სხვა მხრიდან ვუყურებ ამ ყველაფერს. ადამიანი, რომელიც თავს მწერალს უწოდებს, ძალიან გაბედული და თამამი ადამიანია, რადგან სიტყვა „მწერალს“ ჩემთვის საკრალური მნიშვნელობა აქვს. ვნახე სია და ვხედავ, რომ 128 „მწერალს“ მოუწერია ხელი, მსოფლიოში აღიარებული პიანისტის, ელისო ბოლქვაძის წინააღმდეგ. ცოტა ადრე პრემიერის წინააღმდეგ აგროვებდნენ ხელმოწერებს ეს ადამიანები... დავხედე და გამიხარდა... რა კარგია, რომ ამდენი მწერალი გვყოლია, ბოლო-ბოლო, ევროპის გულს, სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ჩვენი მწერლებით მოვინადირებთ-მეთქი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ „მწერლებიდან“ ხვალ ვინ დარჩება ისტორიაში და ლიტერატურაში, ესაა საინტერესო... ახლა ისეთი იოლია წიგნის დაბეჭდვა და გამოცემა, ყველა მსურველს შეუძლია, „მწერალი“ გახდეს...

ვერ გეტყვით, რომ დიდ დროს ვუთმობ თანამედროვე მწერლების შემოქმედებას, მაგრამ თანამედროვე ქართულ ლექსებს ხშირად ვეცნობი და არ არის ეს ნამდვილად ის დონე, რომ ლექსი ერქვას. ჩემი გემოვნებიდან გამომდინარე ვამბობ ამას, თორემ შეიძლება, ვიღაცას მოსწონდეს და მოსწონთ კიდევაც ეს პოეტები. სოციალურ ქსელში ბევრი ე.წ. პოეტი მინახავს, ისეთი მოწონებები აქვთ და ისეთი სიტყვებით ამკობენ მათ, რომ გაოცებული ვარ, თუ ამის მეტი არაფერი წაგიკითხავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოგეწონოს... როდის ჩამოუყალიბდა საზოგადოებას ასეთი მდარე გემოვნება?

ზოგადად, პენ-ცენტრის ინსტიტუტი და დანიშნულება ჩემთვის ცოტა გაუგებარია, მაგრამ ეს ისევ და ისევ ჩემი პირადი მოსაზრებაა. მათ სინდისზე იყოს, რასაც კადრულობენ. რას ერჩიან ელისო ბოლქვაძეს, მერე რა, თუ ამ ზემოაღნიშნულ კანონს ხელი მოაწერა? დამტკიცდა, რომ ის მავნებლური კანონი იყო? სად ერეკლე და სად მისი ხმალიო... რომ იტყვიან!

- თქვენი გადაცემისა და სარკაზმით გაჯერებული „სტატუსების“ გამო, ხშირად გამხდარხართ კრიტიკის ობიექტი. როგორ პასუხობთ ამ ადამიანებს?

- არანაირად! პირიქით, მიხარია, ე.ი. სწორი გზით მივდივარ. ცუდს ვინ დაწერს? - ისევ „ნაცი“ და „ნაცმა“ თუ კარგი დაწერა ჩემზე, უნდა ვიფიქრო, რომ რაღაც არასწორად ვთქვი ან გავაკეთე... სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოება გაყოფილია და ძალიან დიდი ჩატეხილი ხიდია ორივე მხარეს... უმრავლესობა, ვინც სოციალურ ქსელში ილანძღება, არის „ტროლი“, „ბოტი“ და მათი აგრესია უნდა უგულებელყო. ასეთ შემთხვევაში, ერთხელ-ორჯერ გაიბრძოლებენ და მესამედ გამოჩენის სურვილი აღარ ექნებათ. არავითარი რეაქცია! - მტრის გულის გასახეთქად კი არა, მეგობრების გულის გასახარად ვწერ, მტერი არ მაინტერესებს.

ნონა ქარქაშაძე

ხელისუფლებავ, ჩვენც ჟურნალისტები ვართ!

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა



„ძალიან მძიმეა ჟურნალისტებისთვის იმის მოსმენა, ვთქვათ, როგორ აგინებენ, როგორ ლანძღავენ, როგორ ადანაშაულებენ მათ, მე ეს ჩემი ბევრი კოლეგისგან მოვისმინე“, — თავისივე თოკ-შოუში ოდესღაც დაიჩივლა ინგა გრიგოლიამ.

ჰოო, რა ვიცი, ვის გულისხმობდა კოლეგებში ინგა, მაგრამ დავიჯერო, მხოლოდ ჟურნალისტებისთვისაა მძიმე მოსასმენი? ექიმებს რომ ჰკითხო, მათთვისაც მძიმე მოსასმენია მათი მისამართით გამოთქმული ლანძღვაგინების მოსმენა, პოლიციელებისთვისაც და თვით უწლოვანი ბავშვებისთვისაც.

ვინაიდან ჟურნალისტი არ გახლავართ, მხოლოდ ამ საპასუხისმგებლო პროფესიის მოყვარული ვარ, ვერაფრით შევდივარ ხოლმე იმ ჟურნალისტების მდგომარეობაში, „ცუდად“ რომ იქცევიან. ვუგებ კი არა, როგორც უამრავ სხვა რიგით მოქალაქეს, პირიქით, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მაქვს.

მე, საქართველოს ნახევარსაუკუნოვან მოქალაქეს, შეიძლება, მოძველებური წარმოდგენა მაქვს ჟურნალისტსა და ჟურნალისტიკაზე. „ჟურნალისტი არის პროფესიონალი ლიტერატურული მუშაკი, რომელიც ჟურნალისტიკას მისდევს, ჟურნალისტიკა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობაა, ხოლო პუბლიცისტიკა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურაა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე“, — ეს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზიები კი რამდენად პასუხობენ ამ კრიტერიუმებს — აგერ თქვენ და აგერ მე.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი რამ უტყუარად დავასკვენი. ანდაზად კი ვიცოდი, „კოკასა შიგან რაც დგას, იგივე წარმოდინდების“, მაგრამ ასე ზუსტი თუ იყო, არ მიმიქცევია ყურადღება, არ დავკვირვებივარ. მოკლედ, რაც არის ადამიანი მთელი თავისი არსით, ისეთი ჟურნალისტიცაა! — ასეთია ჩემი დასკვნა.

საქმე ის არის, რომ, შესაძლოა, ვთქვათ, ექიმიც იყოს „მყრალი“, მემანქანეც და ხაბაზიც, მაგრამ სრულად არ გეცეს მისი სიმყრალე, ერთ ადგილზე და მხოლოდ მცირეხნიანი კონტაქტის დროს იგრძნო, ჟურნალისტები კი მომწამვლელად აფრქვევენ სიმყრალეს... და კაცს ვინ ჩივის, კანონი არ არის განმკითხავი — რესპონდენტსაც შეშლიან ჭკუიდან, ერთმანეთსაც, ამოჩემებულ ადრესატსაც და ვითომ არც არაფერი მომხდარა! კი, ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე რომელიმე მხარეს თავმოყვარე ადამიანი, მაგრამ თუ ჟურნალისტი შუბლისძარღვგაწყვეტილი და თავზეხელაღებულია, იმით კი არ დაიწყებს, თვითონ რა დააშავა, რანაირად დააგო პროვოცირების ხაფანგი, მოსატეხ საჩვენებელ თითს იშვერს მავანისკენ და ყველანაირად ცდილობს, საკუთარი არარაობა თავისგან ჩაგრული ჟურნალისტი ან ჟურნალისტთა ნაკრები შექმნას.

ორიოდე დღის წინათ ისეთი ამაზრზენი საქციელი ჩაიდინა ნატო გოგელიამ, „TV-პირველის“ ჟურნალისტმა, რომ ყველა ნორმალური ადამიანი უკიდურესად გაბრაზებულია და მომართულია იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც თვალს ხუჭავს ქვეყანაში არსებულ შერჩევით სამართალზე. ქალბატონმა ნინო ჯღარკავამ მოკლედ გამოხატა ყველას აზრი და განწყობა: „სასწრაფოდ გამოუშვით ციხიდან მამუკა ანდღულაძე! ამ კაცს, ონკოლოგიურ ავადმყოფს, როგორ აჩერებთ ვიღაც წუნკალი პროვოკატორი „ჭუტლატივის ჟურნალუგის“ გამო! აქციებს დავიწყებთ და განახებთ, როგორ უნდა საკუთარი მხარდამჭერების გამწარება!“

შეაგინებენ და შეაჩვენებენ ჟურნალისტის მოწმობასამოფარებულ პროვოკატორს, სხვას რას ელის ვინმე?! ნატო გოგელიამ, ნოდარ მელაძის დაგეშილმა ჩვეულებრივმა პროვოკატორმა იცოდა, რაზეც მიდიოდა და წავიდა. ცხოვრებისგან გაუბედურებულ ადამიანს, რომელსაც მეუღლე ახლახან გარდაეცვალა, ხუთი შვილი ობლად დარჩა, თვითონ მძიმე ავადმყოფია და სახლში გამიზნულად შეუვარდება ვიღაც, რათა პროვოკაციაზე წამოაგოს, ის ადამიანია?

და ამ ხელისუფლებას და მის ამგვარ უსამართლო სასამართლოს პასუხი არ მოეთხოვება?

რა ჯანდაბაა ეს ორმაგი სამართალი?!

„მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელები, პოლიციელების ცოცხლად დამწველები და ხელისუფლების დამხობისკენ მომწოდებლები თავიანთი ბანდით, სისხლის სამართლის პასუხისგებიდან მყისიერად და უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ და საბრალო უდანაშაულო ადამიანი, რომელიც პროვოკატორი არაადამიანის პროვოკაციას წამოეგო, აგინა თუ საკუთარი საცხოვრებლიდან გამოაგდო და მობილური დაუმტვრია, ციხეში უნდა განმწესდეს?

სიმულანტი სააკაშვილი „ვივამედში“ უნდა კოტრიალობდეს და საბრალო მამუკა ანდღულაძე ციხეში იჯდეს?! — სამართლიანობისთვის ვერაფერი შეღავათია, რომ საზოგადოების ზეწოლით მამუკა ანდღულაძე გირათო გამოუშვეს...

„ნაცმოძრაობა“ თავის სახეს არ მალავს, ყოველ ნაბიჯზე აჩვენებს, რომ ყველანი ერთნაირები არიან: ჟურნალისტიც, აქტივისტიც, მასწავლებელიც, პარლამენტარიც, ელჩიც, მოსამართლეც, პროკურორიც — აბსულუტურად ყველა, მაგრამ „ოცნება“ თავის სახეს აჩვენებს — ორმაგი სამართლის მხარდამჭერს, უსუსურს და ვიღაცაზე დამოკიდებულს? ასეთი ოცნება არ არის „ქართული ოცნება“, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ ოცნებაა“, ეს ვიღაც „გადამთიელის ოცნებაა“!

მინდა, მჯეროდეს, რომ „ოცნება“ შუბლში ირტყამს მუშტს კოჰაბიტაციაზე დაყოლის გამო, მაგრამ რისი მომცემია ეს იმედი, როდესაც ყველა სახელმწიფო უწყებაში იგივე „ნაციონალები“ სხედან, ვინც ისხდნენ და მავნებლობენ, ვისაც როგორ შეუძლია. სწორედ ამიტომ გაჩნდა ეჭვი, რომელიც სრულიად მართებულად გამოთქვა ირაკლი ზაქარეიშვილმა: „განზრახ ხომ არ აუწია „სატოპკე“ პროკურატურამ „შავნოდარა“ მელაძეს, როდესაც გოგონას გარდაცვალების საქმეზე გამოძიება უკანონოდ დაიწყო „დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის“ მუხლით?! რა მტკიცებულება ჰქონდათ ხელთ, როდესაც მიიჩნიეს, რომ, განზრახ მკვლელობას ჰქონდა ადგილი? ამას დაამატეთ პროკურატურის მხრიდან „ნაცების“ ხელშეუხებლობა და სისხლის სამართლებრივი დევნის შერჩევითობა, ონკოლოგიურად დაავადებული 5 ობლის მამის დაჭერა და სხვა უამრავი. პასუხს მარტივად მიიღებთ, თუ რით არის დაკავებული პროკურატურა!“

ნათია ბერიძე, ჟურნალისტი: „საშინელებაა ძალადობა ქალის მიმართ, მითუმეტეს, და ამას ჩემზე კარგად ვერავინ გაიგებს.

საშინელებაა ჟურნალისტის შეურაცხყოფა, მითუმეტეს ხელით შეხება.

ესეც გადასარევად ვიცი.

მუქარები იმდენია, დათვლა შეუძლებელია.

არცერთხელ არ ჰქონია რეაგირება არავის, არც საგამოძიებოს, არ სახალხო დამცველს, არც ქალთა უფლებადამცველებს.

ალბათ გვარი არ მიწყობს ხელს და ინტრიგნობა, თორემ მინიმუმ 5-6 კაცი უნდა იყო დაჭერილი ჩემ გამო.

სახლში რომ მიდიხარ რესპონდენტთან, ზუსტად იცი, სადამდე გაქვს უფლება შესვლის და მერე უკვე რისკზე წასვლაა, შენ სადამდე შეგიძლია, როგორც ადამიანს-ჟურნალისტს.

არსებობს ზღვარი, სადაც, როგორ ძალიანაც არ უნდა გჭირდებოდეს და გინდოდეს მასალა, იმ ზღვარს არ უნდა გადახვიდე. მაგალითად, როცა საქმე ეხება მოხუც მშობელს, მცირეწლოვან ბავშვს.

ამ ზღვარს რომ გადახვალ მერე არც ის უნდა გაგიკვირდეს საპასუხოდ რომ აგრესიას მიიღებ. არ მგონია ღირდეს რაიმე იმად რომ ოჯახში მისულმა მოხუც კაცს უთხრა შენი შვილი როგორც იქცევა თუ მოგწონსო.

ძალადობა ცუდია, მაგრამ სიმართლის დაკარგვა ბევრად უარესია. კაცი დაემშვიდობა, ეზოს კარი მიუხურა და კარს აქედან მოხუც მამას რომ გადაწვდები, მერე რანაირად უნდა გაგიკვირდეს აგრესია?!

კოლეგიალური ვერ ვარ, მაპატიეთ! მაგ ქალს მე კოლეგად ვერ აღვიქვამ. სახლშიც მივსულვარ რესპონდენტთან და სამსახურშიც, მაგრამ მოხუცებს და ბავშვებს რომ არ უნდა გადასწვდე. ეს არც ვინმემ უნდა დაგარიგოს და არც ვინმემ უნდა გასწავლოს, ეს უნდა გედოს შიგნით, ადამიანურ ნაწილში, პროფესიის გარდა რომ ვართ, იქ!

არ მგონია, ის კაცი გამქცევი ყოფილიყო, ან ვინმესთვის საშიში, საკუთარი ოჯახის დაცვა დანაშაული როდიდანაა?! სახლში რომ გივარდებიან, ქალი იქნება თუ კაცი, რა მნიშვნელობა აქვს, იცავ ისე, როგორც შეგიძლია. ყველას ერთნაირი ნერვები არ აქვს, ვერც ყველა ერთნაირი დიპლომატია და მითუმეტეს, თუ ამხელა უბედურება სჭირს ამ კაცს, ცოლი ახალი დამარხულიო, თვითონ ქიმიებზე — ქვებს რომ არ ისვრის არ გიკვირთ?!

მოსამართლეებში რომ ძალიან ფსკერზე ვართ, უკვე დავრწმუნდი. რა აშინებთ ასეთი, ან რა გა-

ირაკლი ღარიბაშვილი: ეს არის თქვენი დღე. მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ თქვენი საქმიანობისთვის. მინდა ყველას გისურვოთ წარმატება თქვენს პროფესიულ კარიერაში. მინდა გისურვოთ მშვიდობა და ყოველივე საუკეთესო!

17.03.2023 / 20:02 მთავარი თემა პოლიტიკა

აი, ოდნავადაც რომ არ მეცოდება ის მომენტია!!!-,ტვ პირველის” ჟურნალისტი ნატო გოგელია „ კონსერვატიული მოძრაობის” წევრ მამუკა ანდღულაძის დაკავებაზე



დღეს დათო ბოლქვაძის დაბადების დღეა! გმირი რეპორტიორის, რომელმაც სამშობლოსთვის საკუთარი სიცოცხლე გასწირა. მისი სახელი და გადაღებული უნიკალური კადრებიც ისტორიას დარჩა!

„პატივს მივაგებთ რეპორტიორს, რომელიც მზად არის, იდგეს, როდესაც სხვები გარბიან და სვამდეს კითხვებს, როდესაც სხვებს შიში დუმილს აიძულებს“, - ეს წარწერა ვაშინტგონშია გაკეთებული, სადაც დათო ბოლქვაძის სახელი და გვარი მსოფლიო ჟურნალისტებს შორის არის. ისინი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ.

დათო 1993 წლის 28 ოქტომბერს მოკლეს. ის ჩემი ბიძაშვილი იყო..

ნინო გიორგობიანი

დაუღეს ნაცებმა ამნაირ,ი ვერ ვიგებ, დღემდე რომ ყურმოჭრილად ემსახურებიან. მოსამართლეებო, არ მოსულა ეს ორმაგი სტანდარტები! არც ძალდობა მოსულა და არც ადამიანების ასე დაჭერა მარტო იმიტომ, რომ მელაძის და ნატო გოგელიას ისტერიკის გეშინია.

დროშის დაწვაზე ჯარიმა თუ ეკუთვნის დააჯარიმეთ, ყველა დანაშაულს აქვს თავისი საფასური, მეც რომ დავაშავო იმასაც, ჩემი შვილი რომ იყოს ხელს არ დავაფარებ მაგრამ ოჯახს რომ ეხებიან, მოხუც მშობელს, შვილს და თან ნატო გოგელია ითავსებს პროკურორ-მოსამართლის როლს, ე, მანდ უნდა იცოდეთ, რომ არაა გოგელიას საბლატაო ამ ქვეყანაში და ნუ აბლატავებთ! დასაჭერი იმდენი გყავთ... სულ მოლოტოვის სუნი ასდით თან.“

როგორც თვითმხილველებმა თქვეს, მამუკა ანდღულაძის საქმის მოსამართლემ თავჩაქინდრულმა გამოაცხადა განაჩენი და სასამართლო დარბაზიდან კი არ გავიდა, განილია.

მამუკა ისე ამაყად და დინჯად შეხვდა ამ გადაწყვეტლებას აქეთ ამშვიდებდა მხარდამჭერებსა და ახლობლებს.

ხელისუფლება ჯოხს მხოლოდ სასამართლოზე ვერ გადატეხს, რადგან ხელისგულზე დევს თავზემჯდომობის საგიჟეთი: დასავლური ინსტრუქციების შესაბამისად, პროკურატურის მითითებით, „ნაცების ბუდემ“ — 5 შვილი ჰყავს, მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი, შვილებს უდედოდ ზრდის და ამ ყველაფერთან ერთად, არის ონკოპაციენტი - თურმე ისეთი „დამნაშავეა“, რომ პატიმრობას იმსახურებს!!!

და აი, ის საქონლები კი, ვინც პოლიციას მოლოტოვებს ესროდა და წვავდა, პარლამენტს ცეცხლი მოუკიდა, ქუჩები დაანგრია და დალეწა - “ოცნების” სასამართლომ ყველა მათგანი ადმინისტრაციულით გამოუშვა გარეთ!!! ისიც კი, ვინც პოლიციელზე თავდასხმის გამო იყო მძიმე მუხლით დაკავებული - ის ნაძირალაც გარეთ გამოუშვეს გირაოთი!!!

მამუკა ანდღულაძე, რომელიც არის „კონსერვატიული მოძრაობის“ წევრი, თურმე იმსახურებს წინასწარ პატიმრობას იმიტომ, რომ ზონდერ-პროვოკატორ ჟურნალისტს სურდა ასე!!!

წარმოგიდგენიათ, რას აკეთებენ ახლა ესენი?!

ანუ ოჯახში მოვარდნილი საქონლისგან თავს თუ დაიცავ და გააგდებ, ეს ყოფილა „ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა“!!! და ამის გამო დაგიჭერენ!!!

და თუ პოლიციელებს, პარლამენტს, ქუჩაში მანქანებს დაწვავ - ეს ყოფილა „მშვიდობიანი ქცევა“ და აზრის გამოხატვა!!! და ყველას გარეთ უშვებენ, ვინც ასეთ საშინელებას სჩადიოდა!!!

ესაა ქართული სამართალი?!“

რადგან ხელისუფლებას ბევრი ხალხის გამოსვლის ეშინია, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დააკავა მამუკა ანდღულაძე, შემდეგ კი პროკურატურამ, ანუ სახელმწიფო ხელისუფლებამ ანდღულაძისთვის პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს და მანაც დააკმაყოფილა მოთხოვნა — სულ ეს არის.

ნინო ლაბარტყავა, ჟურნალისტი: მამუკა ანდღულაძე - ადამიანი, რომლის ოჯახშიც „ტვ პირველის“ ნაძირალა, პროვოკატორი ჟურნალისტი ნატო გოგელია მივარდა, ანდღულაძესაც და მის მოხუც მშობლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა (არ გრცხვენიათ, ასეთი შვილი რომ გყავთო, ეძახდა), პროვოკაცია მოაწყო, მაქსიმალურად ეცადა ადამიანები მდგომარეობიდან გამოეყვანა - აი, ეს ადამიანი „ქართული ოცნების“ სასამართლომ წინასწარ პატიმრობაში დატოვა!!!

ანუ ადამიანი, რომელმაც ნაცზონდერი გააგდო საკუთარი სახლიდან; ადამიანი, რომელსაც ჭირვებულები არიან ინტელექტუალურად, „თხა და გიგო“ არ აქვთ წაკითხული და „გამზრდელიდან“ აზრი ვერ გამოუტანიათ — ამიტომაც არის, გამზრდელს რომ მოუკითხავენ ხშირ-ხშირად...

დიახ, ასეა, რადგან მათგან ვიგებ, რომ სადღაც საქონელი გარდაიცვალა, ძაღლი დაკრძალეს, ფეხმძიმე ძროხა მგელმა დაგლიჯა და მისთანები — „TV- პირველის“ ჟურნალისტისგან გავიგე, რომ საქართველო-ყაზახეთის საზღვარზე მანქანების კოლონა იყო გაჭიმული...

იქნებ, არც არიან ბუნებით ასეთები, მაგრამ უწიგნურები და გაუნათლებლები, მხოლოდ სლიკინა ტვინითა და გრძელი, უძვლო ორგანოს საშუალებით, მიმზიდველი ანაზღაურების სანაცვლოდ დამქირავებლის ბრძანებას ასრულებენ. სხვა გზა არ აქვთ, რადგან სხვაგან ვერსად მონახეს ადგილი, სადაც უწიგნური ენდომებათ, თორემ ფულზე დახარბებული უტყვი მონა ყველგან მისაღები და სასურველია...

წლების წინათ გაზეთ „ქრონიკის“ ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე წერდა, რომ ნიკა გვარამიას მამამ დაურეკა და სიტყვა-სიტყვით ასეთი რამ უთხრა: „თქვენი რედაქციის დედაც მოვტ...ან და თქვენი კარგიც მოვტ...ან!“ რაზეც პასუხად მიიღო: „მე შენი „ბრადიაგა” მაჭანკალი მივატყვარჩელტყემლისძირეო“ და არცერთ მხარეს არ გაუმეტებია დასაჯეჯგვად ერთმანეთი...

ახლა ხომ „ბნელ საბჭოეთსა“ და „შევარდნაძის ეპოქაში“ აღარ ვართ, თავზე დემოკრატიის შუქურა დაგვნათის, ჰოდა, დიტოსი არ იყოს, ჟურნალისტების თავზეხელაღებულად გამკეთებლის მიტყვარჩელტყემლისმძირებელი საიდან გამოჩნდება იმის შიშით, ვიტყვი რამეს და ისევ მე დამაკავებენ ჟურნალისტისთვის ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლის გამო და ციხეს თუ გადავურჩი, მსუყე ჯარიმა არ ამცდებაო.

საინტერესოა, სააკაშვილის ტირანული ხელისუფლების დროს რაც ხდებოდა ჟურნალისტებთან დაკავშირებით, რატომ არ ხდებოდა საამბო და საგანგაშო?

ძალიან კარგად მახსოვს, როგორ დაერეოდნენ ხოლმე ერთმანეთსაც და სხვასაც და ძალიან მაინტერესებს დღემდე, მაშინ რა გამართლება ჰქონდა ამას.

ბატონი გიორგი ფოფხაძის თქმისა არ იყოს, ბედის ირონია არაა, კაცო? ჟურნალისტები, ვინც საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახების დარტყმის ქვეშ დაყენების ფასად მუშაობდა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის პირობებში, უმუშევრად სხედან და ძველი რეჟიმის „გამპრავებლები“ ისევ ტელეეკრანებზე არიან წამოპლაკულები და აქეთ გვარიგებენ ჭკუას... ტფუუუუ...

ქართული ჟურნალისტიკა სიკვდილის სარეცელზე წევს და აგერ-აგერ გასძვრება კიდეც სული...

სანამ ქართული ჟურნალისტიკის სიკვდილის მიზეზებს ჩაეძიება ვინმე, ძველ „რუსთავი-2“-ს გახახუნებული ჟურნალისტები გაიხსენოს, შემდგომში სხვადასხვა ტელევიზიებში გადანაწილებულები და ვითომდა სახეშეცვლილები — უბრალოდ, ახლა ერთ უსახურ გოგოზე, ნატო გოგელიაზე ტყდება ჯოხი, თორემ ვინ იქნება ახალ დროებაში პორტირებული ის ნაცჟურნალისტი, რომელიც თავს გამოიჩენს ქართულ მედიასივრცეში ჟურნალისტური უმწიკვლო წარსულით, მიუკერძოებლობით და, ბოლოს და ბოლოს, ნიჭით?

კონკრეტულ ადამიანებს კონკრეტული ადამიანების წინაშე კონკრეტული ვალდებულებები არ ეცვლებათ, როცა საქმე იდეოლოგიას შეეხება, ანუ რეალური დამქირავებლის ნება-სურვილს. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთხელ და საფუძვლიანად რომ ჩადგეს ფეხი ნეხვში, მას შემდეგ დაიბანეს კიდეც ვითომ, მაგრამ ნეხვში ფეხჩანადგამად რომ იქნებიან ყოველთვის მოხსენიებულები?

ბატონი რეზო ამაშუკელის სიტყვებია, „ვინც ერთხელ მაინც გაეხახუნა „თავისუფლების ინსტიტუტს“, ახლოს არ უნდა გააკარო ქვეყნის მმართველობასო“. ანალოგით რომ ვთქვათ, რატომღა უნდა გააკარო, ამ შემთხვევაში ტელევიზიას ის ჟურნალისტები, რომლებიც ყველა მხრიდან ეხახუნებოდნენ „ნაცმოძრაობას“, მისი იდეოლოგიის გამტარებლები იყვნენ, ამით ამაყობდნენ, გვარიანი დივიდენდებიც მიიღეს, „სახეები“ გახდნენ?

ის ე.წ. ჟურნალისტები, რომლებიც დაწყებული შევარდნაძის ხელისუფლების გადატრიალებით და შემდგომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გათეთრებით გვარიანად ხეირობდნენ, რატომ უნდა იყვნენ „ჩამონტაჟებულები“ იგივე სახის ავი საქმის კეთებისთვის ყველგან და ყოველთვის დღესაც? მერე უკვირთ, რაც სასიკეთო კეთდება საქართველოში, რატომ არ ვრცელდება ინფორმაციაო? კი, მაგრამ ვინ უნდა გაავრცელოს ეს ინფორმაცია? — ვისაც ეს ევალება, ფაქტობრივად, ხომ კვლავ ერთი კაცის „მიშასა და კამპანიის“ დაკვეთილი სურვილების აღმასრულებელია?

არავინ არსად გამქრალა! მას შემდეგ, რაც ნაცჟურნალისტები ბუდემოშლილი კრაზანებივით აიშალნენ, ფაქტობრივად, ყველა საკვანძო-საინფორმაციო ადგილს მოედვნენ და კვლავ ძველებურად შხამავენ საზოგადოებას როგორც ეთერიდან, ისე „მოყუჩებული“ ადგილებიდან.

2016 წლის 21 ნოემბერს, დონალდ ტრამპთან „ტრამპ ტაუერში“ არაფორმალურ შეხვედრაზე წამყვანი ამერიკული მედიის წარმომადგენლები მივიდნენ. ტრამპმა ისინი მიჭირხენა, CNN-ის დირექტორს, ჯეფ ცუკერს უთხრა, რომ CNN-ში მატყუარები მსახურობენ და მას ისინი ეზიზღება, ყველას ერთად კი, შეკრებილ 40-მდე წამყვანი გამოცემის წარმომადგენელს, „უღირსები“ უწოდა. NBC და CBS-საც მოუწია მძაფრი კრიტიკის მოსმენა. „თქვენ რომ მატყუარები არ იყოთ, არცკი დავფიქრდებოდი, ისე წავშლიდი „ტვიტერის“ პროფილს, თუმცა, ყალბი მედია გვყავს ქვეყანაში. როდესაც ვხედავ, რომ ახალი ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, სოციალურ ქსელში შემიძლია ამას გამოვეხმაურო და უარვჰყო — მერე მას ყველა კითხულობს. შესაბამისად, „ფეიკნიუსმედიის“ ინფორმაციის უარყოფა შემიძლია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, — განუცხადა ტრამპმა ჟურნალისტებს. როგორც ტრამპის რეაქციიდან ჩანდა, აშშ-იც გვარიანად სცოდავს მედია.

ახლა საინტერესო ის არის, ქართულმა მედიამ მათგან გადმოიღო მუშაობის სტილი თუ პირიქით, იქით ასწავლეს „ჩვენებმა“? ეჭვი მაქვს, ჩვენ გადმოვიღეთ და ამიტომაც დაემსგავსა ქართული მედია ჭკუიდან გადასულ „ფატიმას“...

ნინო ლაუშვილი

ავაზაკებთან ალიანსში მყოფი დასავლეთი თავის პირმშოებს ვერ გაამტყუნებს

ტოტალური სადიზმის შემოქმედნი და მათ გამპრავებელთა არმია ზესამართლიანმა ევროპულმა სასამართლომ ლამის წმინდანად შერაცხა

ანტიეროვნული „ნაცმოძრაობა“, თავისი ცხრაწლიანი პოლიტიკური სადიზმის შემდეგ, ოპოზიციური მაზოხიზმის მწვავე სტადიაში შევიდა. ნაცებს არ ასვენებთ ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდების სურვილი. რას არ კადრულობენ – მთელი მსოფლიოს დასანახად უნიჭო სპექტაკლებს დგამენ და გაჰკივიან: შემოგვხედეთ, როგორ იჩაგრება დემოკრატია, როგორ ფეხქვეშ ითელება ჩვენი პროდასავლური მონაპოვარიო...

„ნაცმოძრაობის“ ხერხემალმა, გვამების შემგროვებელმა ვანო მერაბიშვილმა ციხის დატოვებისთანავე პოლიტიკური განცხადება გააკეთა. მას არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ პარტიას და პოლიტიკურ გუნდს შეუერთდებოდა, თუმცა თქვა, რომ ივანიშვილის მმართველობა ერთ წელიწადში დასრულდებოდა და ის პირადად შეიტანს წვლილს ამაში. ვანოს იმედი მალე გაუცრუვდა, „მაღალკონკურენტულ“ გარემოში გაუჭირდა ლავირება და ციხის კედლების დატოვების მესამე წელს, კეზერაშვილზე „მიტმასნულს“ გაახსენდა ხელისუფლების დამხობის და ტრიუმფით ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი. მანამდე კი ჩვეული ხერხით კონკურენტები „ჩააჩოჩა“და „დიდებისკენ“ მიმავალი გზა მოისუფთავა.

მათ უნდათ: მერაბიშვილს, თანამოაზრეებთან ერთად, უნდა ჰქონდეს მარადიული უფლება, ურტყან ნებისმიერ ქართველს, ვისაც ისინი არ მოსწონს;

• უნდა ჰქონდეთ უფლება, 7 ქართული სოფელი ჩალის ფასად მიჰყიდონ ირანელ „ბიზნესმენს“;

• თურქების მიერ ბორდელად გადაქცეული აჭარა და ქართველებისაგან დაცლილი და ჩინელებით ავსებული იმერეთი და კახეთი;

• დაგვტოვონ უმუშევრები, გვაყურებინონ ჩვენი დამშეული ოჯახების გაჭირვებისთვის;

• გვაიძულონ, გადავიხვეწოთ საზღვარგარეთ და საკუთარ შვილებს და მშობლებს დანატრულებს იქ სხვისი მშობლებისა და შვილების მოვლაში გვძვრებოდეს სული;

• ყველას გაგვიყიდონ სახლები ბანკის ვალებში, რათა მერე მათ მიერ დაქირავებულ მანქურთებად ვიქცეთ და ყველაფერი თავადვე გავყიდოთ – ჩვენი სიცოცხლისა და სინდისის ჩათვლით;

• მანდატურებით გავსებული სკოლები, სადაც ჩვენს შვილებს უსულო რობოტებად გამოზრდიან და სახლებში ჩვენს მაკონტროლებელ ჯაშუშებად დაგვიბრუნებენ;

• როცა მოუნდებათ, დახოცონ ჩვენი ახალგაზრდები, გააუპატიურონ ჩვენი ქალიშვილები და ცხვირში ძმრად მუდამ ამოგვადინონ ის, რომ საქართველოში მანქანებს აღარ იპარავენ, გვაქვს შუქი და ბეტონის გზა.

სამაგიეროდ არ უნდათ, იმის მოსმენა, რამდენი ასეული მილიონი აახიეს ხალხს და ქვეყანას. დიახ, უდელ, ჯიბე გაფხეკილ ვანოს, როგორც „ბოროტი“ ენები ამბობენ, ასეულობით მილიონი აქვს ნაშოვნი, მაგრამ მაინც ძალაუფლების დაბრუნება უნდა...

15 მარტს ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ილაპარაკა ვანო მერაბიშვილსა და მის როლზე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“: „რა ადამიანებთან გვაქვს საქმე, კიდევ ერთხელ რომ გავიხსენოთ – კეზერაშვილი, რომელიც გახდა მულტიმილიონერი ქართული ჯარის და ბიზნესის რეკეტის და ძარცვის ხარჯზე. ეს არის მთავარი ლიდერი დღეს „ნაცმოძრაობაში“. ვანო მერაბიშვილი, რომელიც დღესაც გვეუბნება, რომ თუ მოვლენ ხელისუფლებაში, გახსნიან მეორე ფრონტს და ასე შემდეგ. ესეც იყო 7 ნოემბრის ავტორი, 26 მაისის ავტორი, „იმედში“ შემოჭრის ავტორი, ერთი კორუმპირებული უბედური კაცი, რომელმაც ლაპარაკიც არ იცის. მისი ნებისმიერი გამოჩენა არის საჩუქარი ჩვენთვის. კეზერაშვილი არის ჩვენი ერთგვარი „სეკრეტ სანტა“, რომელმაც გვაჩუქა ვანო მერაბიშვილი და ლევან ხაბეიშვილი. დიდი მადლობა კეზერაშვილს ამ ორი საჩუქრისთვის“.

მერაბიშვილის საკითხი კიდევ ერთხელ მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც 10 მარტს ილაპარაკა „უკრინფორმის“ მედიაცენტრში გამართულ გლობალური ინიციატივის, **SAVE MISHA**-ს თემაზე გამართული დისკუსიის ფარგლებში. მერაბიშვილის განცხადებით, მართალია, საქართველოში აქციები ამ ეტაპზე შეწყდა და უცხოეთის აგენტების შესახებ კანონიც პარლამენტმა უკან გაიწვია, „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი ხელმძღვანელობა ბრძოლის გაგრძელებას აპირებს და ეს ბრძოლა იქნება ევროკავშირის თორმეტპუნქტიანი გეგმის შესრულებისთვის. მერაბიშვილმა ისაუბრა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო გათავისუფლების გზებზეც – მისი აზრით, ბიძინა ივანიშვილზე სერიოზული ზეწოლის გარეშე სააკაშვილის გათავისუფლება შეუძლებელი იქნება. ვანოს „გეგმას“ ეჭვის თვალით უყურებენ მასზე განაწყენებული ყოფილი თანამოაზრეები. თამარ ჩერგოლეიშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა: „თუ გაინტერესებთ, როგორი იქნება ხელისუფლებაში ენმ-კეზერაშვილ-ვანოს ალიანსი და მათ ქვეშ დაჯგუფებული ჯუჯალარი პარტიები, შეხედეთ მთავარის და ფორმულას სარედაქციო პოლიტიკას (შემთხვევით არ შეცდეთ და არ იფიქროთ რომ მათ წარსული გაიაზრეს). „ისინი მოიპარავენ თქვენს იდეებს, დაბლოკავენ განსხვავებულ აზრს, დაბლოკავენ იმათ, ვინც მათდამი კრიტიკულია, დააზიანებენ საჯარო ინტერესს და არად ჩააგდებენ ამომრჩეველს. ასეთ ძალებს სურთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამიტომ ვერ იგდებენ.“

ყოფილი სახალხო დამცველის – სოზარ სუბარის 1300-გვერდიანმა ანგარიშმა 2007 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ, მიძინებული საელჩოები ვერ გამოაფხიზლა, დიპკორპუსს არ ესმოდა არც პოლიტიკური პარტიების, არც მედიის, არც ინტელიგენციის წარმომადგენლების და არც უდანაშაულო მრავალრიცხოვანი პატიმართა ბედით დაინტერესებულან. კეზერა ზესამართლიანმა ევროპულმა სასამართლომ ლამის წმინდანად შერაცხა, მერე რა, რომ დღემდე არაერთმა „ბიზნესახეულმა“ ხმამაღლა დაიწყო საუბარი, რომელ ევროპის თუ ისრაელის მაღალი კლასის სასტუმროებში ხდებოდა მასთან შეხვედრები და ვაჭრობა მიშასა და ვანოს სახელით, არც ფარულად გადაღებული კადრები აინტერესებთ, არც სხვა სახის მტკიცებულებები და არც კერძო საკუთრების დაბრუნებას აპირებენ... დიახ, ავაზაკებთან ალიანსში მყოფი დასავლეთი ვერ გაამტყუნებს თავის პირმშოებს და თუნდაც დაიღუპოს მსოფლიო, ჩვენს ქვეყანაში კოჰაბიტაცია უნდა გაიფურჩქნოს და გამრავლდეს!..

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „დედოფალყოფილმა“ სანდრამ, შვიდი წლის წინ, როცა უდელი ბიჭი „სროკს“იხდიდა, უკრაინული არხიდან ნაზად მოგვახსენა, მიშა საქართველოს და უკრაინას გააერთიანებს და ააყვავებსო! მართალია, მიშა ამყვავებელი ჩამოჭკნა, მაგრამ მისი საქმის გაგრძელება ვანომ განიზრახა: „მე, როგორც ქართველს, მრცხვენია, რომ საქართველო არ მონაწილეობს და არ არის უკრაინის გვერდით ამ ომში, არ არიან უკრაინელების მოკავშირეები. საქართველომ თავისუფლებისთვის და ევროპული ორიენტაციისთვის ბევრი გადაიხადა და ახლა, როცა მთელი ევროპის ბედი წყდება, საქართველო

რუსეთის ბანაკშია და პრაქტიკულად, მისი მოკავშირეა“. ვანოს, მეხსიერება ღალატობს და არ ახსოვს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, უკრაინის რადა მხოლოდ ერთი თვის თავზე შეიკრიბა, მაგრამ არც მაშინ და არც შემდგომ – საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია არასდროს მიუღია.

მაშინ ჩურჩულით ამბობდნენ, უდელი ბიჭი „რასიას ყვარობსო“... „ხმა ხალხისა და ხმა ერისა“ ცხრა წელიწადი არ ესმოდათ არც ვანოს და არც „ნაცხროვის“ დასავლელ მცველებს. კანონი, მორალი მათთვის არ არსებობდა. სწორედ ვანოს დავალებით ხდებოდა ბიზნესის „ახევა“.

კრიმინალურმა ბანდამ – სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა და სხვებმა, ბიზნესმენთა გატყავებითა და მათი საცვლების ამარა დატოვებით მილიონები ჩაიჯიბეს. დღეს ამბობენ, სააკაშვილმა რვა მილიარდის ოდენობის ქონება მოიპარაო, ვანო მერაბიშვილმა – ოთხი მილიარდისო და ასე შემდეგ. მათ მიერ ნაწამებ და მოკლულ ადამიანებზე აღარაფერს ვამბობ. ეს ყაჩაღები, რომლებიც ქართველი ხალხის ცრემლსა და სისხლზე აღზევდნენ, დღეს ისევ ხელშეუხებლად ბოგინობენ, კვლავ გამოუძიებელია მათი საქმეები. ჩემი საქმე, წლებია, პროკურატურაში დევს მთელი რიგი მტკიცებულებებითა და ჩანაწერებით, მაგრამ რა აზრი აქვს? იმ ხნის განმავლობაში, რაც მემუქრებოდნენ, ფარული ჩანაწერები ვაწარმოე და პროკურატურაში მივიტანე. მოისმინეს გამომძიებლებმა და ერთხმად თქვეს, სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ხელყოფაა ქონებისო, მაგრამ ხელი არ გაუნძრევიათ...“ ზემოთ დასახელებულ ბანდას უამრავი ადამიანი ჰყავთ გაძარცვულ-გაუბედურებული, თუმცა ევროპული სასამართლო და დასავლელი „კოლმეურნეობის თავმჯდომარეები“ ისეთი მოჯადოებულები არიან, რომ ვერაფერს ხედავენ და არაფრის სჯერათ!

უამრავი ადამიანის უდანაშაულოდ ციხეში გამომწყვდევის დიდოსტატები, ცალი კალოშით წლების წინ დედაქალაქს რომ სტუმრობდნენ, ასეულ მილიონობით ქონება დააგროვეს უდანაშაულო ადამიანების დაყაჩაღებისა და გაუბედურების ხარჯზე, დღეს კი ისინი დაუსჯელად ან მცირე სასჯელმოხდილები დასეირნობენ და უსინდისოდ აცხადებენ, რომ თავს დამნაშავედ არ გრძნობენ! ნაცხროვის ყოფილი წევრების აღიარებაც ვერ უხელთ თვალს დასავლელ „დამცველებს“. აი, რა განაცხადა წლების წინ სასამართლოზე დავით კეზერაშვილის ყოფილმა მოადგილემ მამუკა მუჯირმა „სენტა პეტროლიუმის“ საქმესთან დაკავშირებით. მისი ჩვენება სრულად აღწერს იმ სქემას, რომლითაც 2004-2012 წლებში ქონების წართმევა, ბიზნესმენების დაჭერა და მათთვის თავისფლების სანაცვლოდ ფულის გამოძალვა ხდებოდა. „იმ პერიოდში საქართველოში რაც ხდებოდა, სულ იყო მმართველი გუნდის 3-4 ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ისინი წყვეტდნენ ნებისმიერი ადამიანის ბედს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იყო დათო კეზერაშვილი. კეზერაშვილის ნათქვამი ავტომატურად ნიშნავდა ადეიშვილის ნათქვამსაც და მერაბიშვილის ნათქვამსაც. რას ჰქვია, იტყოდა დაგიჭერო და არ შეასრულებდნენ მერაბიშვილი, ან ადეიშვილი?! ჩემი თვალით ვარ შემსწრე, ჩემი მუშაობის პერიოდში, ყოველ საღამოს მიდიოდა კეზერაშვილი ადეიშვილთან და იქ იყო კრება. ან ყოველ საღამოს ამასთან იკრიბებოდნენ ხოლმე უგულავა, ადეიშვილი, მერაბიშვილი. ძალიან ბევრჯერ“.

ისმის ეპოქალური კითხვა: ჩვენ, ვინც ნაცრეჟიმს ავად თუ კარგად გადავურჩით, რა ბერკეტი და რა სალაპარაკო ენა დაგვრჩა სასაუბროდ ნაცხელისუფლების სინდისჩარეცხილ ორფეხათა ბანდასთან, რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო დიდ „გორლაზე“ მოდის და აქეთ საქმეს გვირჩევს? ქვეყანაში მიმდინარე კოჰაბიტაციური ხრწნის პროცესების შესაჩერებლად, უპრიანი იქნებოდა მოძრაობა – „სცემე ნაცი და იყავ კაცი“, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს მოძრაობა გაამართლებს დასავლეთის ფრთის ქვეშ შეყუჟულ ავაზაკებთან! რთული ასატანია, რომ დღეს სწორედ ტოტალური სადიზმის შემოქმედნი და მათი გამპრავებელთა არმია გვიკითხავენ მორალს და დემოკრატიას გვასწავლიან. სამწუხაროდ, ტოტალური სადიზმის თვითმხილველი დასავლეთი, დღემდე ცდილობს, გაუპრაოს ნაცჯალათებს და დემოკრატიის ბობოლა კომისრებს ჩადენილი დანაშაული.

ქეთევან ზარნაძე

დონალდ ტრამპი: ამ კვირაში მე დამაპატიმრებენ

ცივი ომის დასრულების შემდეგ პირველად მოხდა, რომ ნატო და რუსეთი რეალური სამხედრო კონფრონტაციის წინაშე აღმოჩნდნენ. გასულ კვირას შავი ზღვის აკვატორიაში, ყირიმის მახლობლად ჩამოვარდა მზვერავი უპილოტო საფრენი აპარატი. ინციდენტის შესახებ თავდაპირველად მწირი ინფორმაცია გავრცელდა. როგორც აღმოჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის აპარატი ფრენებს ნეიტრალურ წყლებში ახორციელებდა. რუსეთის მხარემ მიიჩნია, რომ თვითმფრინავი გასცდა დაშვებულ ზონას და საკმაოდ მიუახლოვდა მათ საზღვრებს. წესისამებრ, საზღვრის დარღვევის აღსაკვეთად ორი რუსული სამხედრო შემტევი თვითმფრინავი აიჭრა ცაში. მათ რამდენიმე მანევრი განახორციელეს, საწვავი თუ რაღაც სხვა სითხე მიასხეს უპილოტო აპარატს, რის შედეგადაც მან მართვა დაკარგა და ზღვაში ჩავარდა.

ინფორმაციამ შეაშფოთა ამერიკელი პოლიტიკოსები და პენტაგონი. თავდაპირველად მათ განაცხადეს, რუსეთის თვითმფრინავებმა იარაღი გამოიყენეს. თუმცა, უპილოტო აპარატის მიერ გადაღებული კადრების გამოქვეყნების შემდეგ ვერსია უარყვეს. მომხდარი რუსეთმა პროვოკაციულ ქმედებად შეაფასა. მათივე მტკიცებით, აპარატი, რომელიც რუმინეთის სამხედრო ბაზიდან აფრინდა, გამორთული ამოსაცნობი შუქფარებით გადაადგილდებოდა. რუსეთის კითხვა, იყო თუ არა აპარატში საბრძოლო მასალები, პენტაგონმა უპასუხოდ დატოვა. რუსეთი ეჭვით უყურებს კიდევ ერთ გარემოებას: აპარატი საკმაოდ ახლოს იმყოფებოდა გაზსადენ „თურქეთის ნაკადის“ მილსადენთან. შარშან „ჩრდილოეთი ნაკადის“ აფეთქების შემდეგ რუსეთი შიშობს, რომ იგივე არ განმეორდეს „თურქეთის ნაკადზეც“.

ინციდენტის სერიოზულობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა სასწრაფოდ დაურეკა თავის რუს კოლეგას შერგეი შოიგუს. კონფიდენციალურ საუბარში ორივე ქვეყნის გაერთიანებული შტაბების მეთაურებიც — მარკ მილი და ვლადიმირ გერასიმოვიც მონაწილეობდნენ. რაზე ისაუბრა ოთხმა გენერალმა, ჯერ საიდუმლოდ რჩება. თუმცა, ოსტინმა ბრიფინგზე აღნიშნა: „...ჩვენ, ზესახელმწიფოებმა, მაგალითი უნდა მივცეთ სხვა ქვეყნებს და სადავო საკითხები დიალოგის მეშვეობით გავარკვიოთ“. რუსეთის მხარეს გადაწყვეტილი აქვს, წყლიდან ამოიღოს უპილოტო აპარატი, რომელსაც საგულდაგულოდ შეისწავლიან. თუმცა, ვნახოთ, რა მოხდება.

საფრენი აპარატის თემაზე შოიგუსთან საუბრის შემდეგ, ლოიდ ოსტინმა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი დააანონსა. შეშფოთების გარდა, მომხდარმა ინციდენტმა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში განხეთქილებაც გამოიწვია. რესპუბლიკელი სენატორებისა და კონგრესმენების ნაწილი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ უკრაინას უჭერდნენ მხარს, ახლა უკვე მისთვის დახმარების შეწყვეტას მოითხოვენ. ცალკეული პოლიტიკოსები პენტაგონს რუსეთზე შეტევისკენ მოუწოდებენ. ვაშინგტონში განაცხადეს, რომ რუსეთთან ისედაც დაძაბულ ვითარებას აღარ გაამწვავებენ, მაგრამ რუსეთის ტერიტორიების დაზვერვას კვლავაც გააგრძელებენ.

საბანკო სისტემა აშშ-ში რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. გასულ კვირას ერთბაშად სამი მსხვილი ბანკი გაკოტრდა. ექსპერტები შეშფოთებით აცხადებენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მსოფლიოს ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორში 2008 წლის კრიზისზე უარესი შედეგები დადგეს. მათივე შეფასებით, რყევის მიზეზი პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკაა. მხედველობაში აქვთ 2021 წლიდან მოყოლებული, დოლარის უზომოდ დიდი ემისია — დაიბეჭდა დიდძალი რაოდენობით ფული, რაც ინფლაციის მიზეზი გახდა. პრეზიდენტმა ბაიდენმა მოსახლეობას მიმართა და დაამშვიდა, რომ სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება. ასევე დაპირდა, რომ ბანკების კლიენტები არ დაზარალდებიან და 12 მლრდ დოლარის ოდენობით დახმარების პირობაც დადო. თუმცა, სამივე ბანკის ზარალი ჯამში, წინასწარი მონაცემებით, თითქმის ნახევარ მილიარდს აღემატება. საბანკო რყევამ ევროპაშიც შეაღწია — ცნობილი გახდა შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის გაკოტრების შესახებაც.

„...მაცნობეს, რომ პროკურატურა სამშაბათს აპირებს ჩემს დაპატიმრებას“, — დაწერა სოციალურ ქსელებში შაბათს აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და მომხრეებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მეორე დღესვე მისი მომხრეების მრავალათასიანი აქციები გაიმართა ვაშინგტონსა და ნიუიორკში. ამასთან, ტრამპმა ხაზგასმით აღნიშნა — აქციები მშვიდობიანი უნდა იყოსო. მილიარდერმა ილონ მასკმა თეთრი სახლის ადმინისტრაციას დასცინა: „...ფინანსური კრიზისის გადაფარვას ტრამპის დაპატიმრებით ცდილობენ“. თუმცა, ტრამპის განცხადებამდე ორი დღით ადრე CNN-ი იუწყებოდა, რომ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ გამოითხოვა საბანკო დოკუმენტაცია ჰანტერ ბაიდენის საქმიანობის შესახებ და ინფორმაცია მის მიერ ბოლო 14 წლის განმავლობაში განხორციელებული ფინანსური ოპერაციების შესახებ. ვარაუდობენ, რომ პროკურატურა აპირებს ჰანტერის წინააღმდეგ 2018 წელს აღძრული საქმის გამოძიების გაგრძელებას, რომელიც ჯო ბაიდენის მითითებით შეჩერდა. ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების დაპირისპირება მწვავე ფაზაში გადავიდა. საინტერესოა, როგორ დასრულდება ყოველივე.

ვითარება უკრაინაში, განსაკუთრებით დონბასის რეგიონში, ყოველდღიურად მწვავდება. გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, უკრაინას აღარ შესწევს ძალა, ფრონტის არეალი გააფართოვოს. იმდენად შესუსტდა მათი არმია, რომ გაზაფხულზე კონტრშეტევაზე გადასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტია. იგივე გამოცემა უკრაინელი ანონიმი სამხედრო მაღალჩინოსნის გამონათქვამს აქვეყნებს, რომელიც აცხადებს, რომ „უკრაინის სამხედრო საბრძოლო ძალები გამოიფიტა“ და კონტრშეტევაზე გადასვლის წინააღმდეგია. გამოცემა „პოლიტიკოს“ ცნობით, აშშ-უკრაინის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. ქალაქ ბახმუტთან ბრძოლებით უკმაყოფილო ყოფილან პენტაგონში. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ურჩევდნენ, დაეთმოთ ქალაქი და ცოცხალი ძალის რეზერვი შეენარჩუნებინათ. „...

პენტაგონში აცხადებენ, რომ აშშ-ის მიერ მიწოდებული საბრძოლო ტექნიკა ბახმუტთან უაზროდ დაწვეს“, — იუწყება გამოცემა.

პირველი ოფიციალური ვიზიტი მესამე ვადით არჩევის შემდეგ რუსეთში განახორციელა ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა. იგი ორშაბათს ჩავიდა მოსკოვში, სადაც სამი დღის განმავლობაში გამართა მაღალი დონის შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ ეს სი ძინპინისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მე-40 შეხვედრა გახლდათ 15 წლის განმავლობაში. მართალია, ბევრი არაოფიციალური ვიზიტიც იყო, მაგრამ ორი ქვეყნის ლიდერს საკმაოდ თბილი, მეგობრული ურთიერთობა აქვთ, რასაც საჯაროდაც აცხადებენ. ვიზიტის დაწყებამდე ჩინური პრესა წერდა: „...მსოფლიოში იწყება ახალი ეპოქის მშენებლობა, რაც რუსეთის გარეშე ვერ განხორციელდება“.

აღსანიშნავია, რომ ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლემ გასულ კვირას გასცა პუტინის დაპატიმრების სანქცია. ფაქტმა გააღიზიანა რუსი ჟურნალისტები, თუმცა რუსეთი არ აღიარებს ჰაგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს. ოფიციალური პირებიდან აღნიშნულ ფაქტს მხოლოდ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე დმიტრი მედვედევი გამოეხმაურა, რომელიც სარაკეტო დარტყმებით დაემუქრა ევროპას და, განსაკუთრებით, ჰაგის ტრიბუნალს. ჰაგის ტრიბუნალის გადაწყვეტილების მიუხედავად, სი ძინპინმა რუსეთში ოფიციალური ვიზიტი მაინც განახორციელა.

აღმოსავლეთ აზიაში პოლიტიკური ვითარება იძაბება. აშშ-ბრიტანეთის გადაწყვეტილებით, AUKUS-ის ფარგლებში წყალქვეშა ატომურ გემებს გადასცემენ ავსტრალიას. ტაივანში შექმნილ ვითარებას პეკინში უკრაინის მოვლენებთან აიგივებენ. სი ძინპინის მოსკოვში ჩასვლა ამერიკულ პრესაში შეაფასეს, როგორც ნატოსა და აშშ-ისთვის კატასტროფა. თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ ვიზიტამდე გააკრიტიკა სი ძინპინის რუსეთში დაგეგმილი ვოიაჟი. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, ნატოსა და აშშ-ს აშინებთ, რომ არ შეიკრას ჩინეთ-რუსეთის სამხედრო ალიანსი. მართალია, ჩინეთი დღემდე ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს, მაგრამ მომავლის განჭვრეტა ძნელია.

რამდენიმე თვის წინ დაიგეგმა სი ძინპინის რუსეთში ვიზიტი, მაგრამ მხარეები ზუსტ თარიღს არ ასახელებდნენ. დასავლეთის ქვეყნებში ფიქრობდნენ, რომ პირველ ვიზიტს ჩინეთის მმართველი აშშ-ში განახორციელებდა, მაგრამ... სწორედ ამ გარემოებამაც გააღიზიანა ვაშინგტონი. ამის გარდა, ჩინეთმა შეძლო დაპირისპირებული ირანისა და საუდის არაბეთის შერიგება, რომლებმაც გააფორმეს ოფიციალური ხელშეკრულება შინაურ საქმეებში ჩაურევლობაზე. საუდის არაბეთი და ჩინეთი შეთანხმდნენ, რომ ნავთობით აშშ-ის დოლარის გარდა, სხვა ვალუტებშიც ივაჭრონ. ყოველივე ამ გარემოებას საფრთხედ მიიჩნევენ აშშ-ში, რადგან ახლო აღმოსავლეთში მოკავშირეს კარგავენ. არაბების გარდა, ისრაელთანაც გაცივდა აშშ-ის ურთიერთობა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მინისტრებს აშშ-ში ჩასვლა აუკრძალა, მანამდე, ვიდრე მას არ მიიწვევენ ოფიციალურად.

ჩინეთის მმართველის მოსკოვში ვიზიტის შედეგები უახლოეს დღეებში გამოჩნდება, ყოველ შემთხვევაში, კონტურები გამოიკვეთება, რადგან ორივე ქვეყანა დიპლომატიურ, ოფიციალურ შეხვედრებზე ტრადიციულად მწირ ინფორმაციას აქვეყნებს.

ევროპის ქვეყნები საპროტესტო აქციებმა მოიცვა, მოთხოვნები სოციალური ხასიათისაა. განსაკუთრებით გართულდა ვითარება საფრანგეთში. ცალკეულმა პოლიტიკოსებმა ნატოდან გასვლის საკითხიც წამოჭრეს. აქციებზე საფრანგეთში(!) ევროკავშირის დროშა დაწვეს! საინტერესოა, თუ იქ შეიძლება პროტესტის ამგვარად გამოხატვა, ჩვენთან რატომ არის დასჯადი? ჩვენ რა, ფეტვი გვირევია? რა ვიცი, ალბათ, პროვილეგიაა საფრანგეთის მოქალაქეობა.

გია ბურდული
551 71 27 07

„წვიმის ადამიანები“



ბილ გეიტსი

სულ მალე აუტიზმის პრობლემის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დღეა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველი 160 ადამიანიდან ერთს აუტისტური სპექტრის რაიმე დარღვევა მაინც აქვს. მათ „წვიმის ადამიანებსაც“ უწოდებენ.

„წვიმის ადამიანები“ საკუთარ სამყაროში ცხოვრობენ. ამის გამო მათ ძალიან უჭირთ გარშემო მყოფებთან უერთიერთობა, მაგრამ სამყაროს განსაკუთრებული აღქმისა და იმის წყალობით, რომ ისინი კოლოსალურ ყურადღებას უთმობენ დეტალებს, საყვარელ საქმეში უდიდეს წარმატებას აღწევენ.

„წვიმის ადამიანებს“ შორის ბევრი ცნობილი და წარმატებული ადამიანია.

ენტონი ჰოპკინსი

ენტონი ჰოპკინსი, ბრიტანელი მსახიობი

ბავშვობაში ჰოპკინსს დისლექსია ჰქონდა და ძალიან უჭირდა სწავლა. ბიჭუნამ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება ხელოვნებისთვის დაეკავშირებინა, ხოლო 15 წლის ასაკში ცნობილ მსახიობთან რიჩარდა ბარტონთან შეხვედრამ მისი პროფესიული არჩევანი განსაზღვრა — ენტონიმ გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო.

ენტონი ჰოპკინსი აღიარებს, რომ მაც ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს, მას ძალიან მოსწონს ადამიანების ქცევის შესწავლა და იტაცებს, როცა აანალიზებს პერსონაჟების მიერ ჩადენილი დანაშაულებების მოტივებს.

კორტნი ლავი, ამერიკელი მომღერალი

კურტ კობეინის ქვრივს რთული ბავშვობა ჰქონდა. მისი მშობლები მაშინ გაიყარნენ, როცა გოგონა ხუთი წლის იყო. დედას მშობლის უფლება ჩამოართვეს, რადგან ბავშვს LSD-ს ასმევდა. აუტიზმის დიაგნოზი 9 წლის ასაკში დაუსვეს. რთული ხასიათის გამო თანაკლასელებთან ვერ ურთიერთობდა და სწავლაშიც პრობლემები ჰქონდა. ამის გამო სკოლიდან გააგდეს. მოზარდობის ასაკში გამოსასწორებელ დაწესებულებაშიც მოხვდა. კორტნიმ ბევრი პროფესია გამოიცვალა — იყო დიჯეი, სტრიპტიზის მოცეკვავე, სწავლობდა ღვთისმეტყველებას. 80-იან წლებში მისი კინოში გადაღება დაიწყეს, მერე როკ-ჯგუფი ჩამოაყალიბა და ცოლად გაჰყვა „ნირვანას“ ლიდერს. 2012 წელს მისი, როგორც მხატვრის დებიუტი შედგა.

აუტიზმის მქონე ადამიანის პირობაზე, კორტნი ლავი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა, მაგრამ მის შემოქმედებაში (ლექსები და კინოროლები) აშაკარად ჩანს, როგორ უფსკრულს ხედავს იგი საკუთარ თავსა და სხვა ადამიანებს შორის.

ლუის ქეროლი, ინგლისელი მწერალი

აბსურდული რომანი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ექსცენტრული წიგნია, რომელიც ძალიან გიტაცებს. მისი შექმნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელსავ სამყაროს განსაკუთრებული აღქმა გააჩნდა. ლუის ქეროლს აუტისტური სპექტრის აშლილობის აშკარად გამოხატული ნიშნები ჰქონდა. მას ბავშვობიდანვე არ შეეძლო ადამიანებთან ყოფნა, იყო ძალიან მორცხვი, რასაც უფრო აძლიერებდა მისი ენაბლუობა. როგორც ბევრ აუტისტს, ლუისსაც გამორჩეული მათემატიკური ნიჭი ჰქონდა. მან ბევრი შრომა დაწერა ამ სფეროში. გარდა ამისა, ლუის ქეროლი გატაცებული იყო ფოტოგრაფიითა და ჭადრაკით.

დერილ ჰანა, ამერიკელი მსახიობი

აუტიზმის დიაგნოზი ბავშვობაშივე დაუდგინეს. დერილის მშობლებს შესთავაზეს, ბავშვისთვის ფსიქოტროპული მედიკამენტებისს ემკურნალათ სპეციალიზებულ კლინიკაში, რაზეც მათ უარი განაცხადეს. გოგონა ძალიან მორცხვი იყო და უძილობით იტანჯებოდა, სწორედ ამის გამო დაინტერესდნენ მისით კინომწარმოებლები.

მიუხედავად საკუთარ თავში დაურწმუნებლობისა და პუბლიკის შიშისა, მსახიობმა ათობით ფილმში ითამაშა და ბევრი ჯილდოც დაიმსახურა. საკუთარი დიაგნოზი მან მხოლოდ 2013 წელს გაამხილა.

სიუზან ბოილი, შოტლანდიელი მომღერალი

2009 წელს ირლანდიელი ემიგრანტების შვილმა ბრიტანული „ნიჭიერში“ გაიმარჯვა. 2010 წელს კი დიდ ბრიტანეთში დაიდგა მიუზიკლი, რომელიც სიუზანის ცხოვრებას ასახავდა.

სიუზანი მრავალშვილიანი ოჯახის მეათა შვილია. მას ძალიან უჭირდა სწავლა, რის გამოც თანაკლასებელი დასცინოდნენ. მუშაობა არ შეეძლო და ინვალიდის პენსიით ცხოვრება უწევდა. გოგონას ყველა მცდელობა, კონკურსებში მიეღო მონაწილეობა და მომღერალი გამხდარიყო, მარცხით მთავრდებოდა.

2009 წელს „ნიჭიერში“ გამოჩენის შემდეგ სიუზან ბოილმა გამოუშვა 7 ალბომი, მონაწილეობა მიიღო ფილმში „საშობაო სანთელი“ და მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული და მდიდარი ადამიანი გახდა.

სტენლი კუბრიკი, ამერიკელი რეჟისორი

ყველა დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი და უდიდესი კინემატოგრაფისტი, რომელმაც გადაიღო ისეთი შედევრები, როგორიც არის „2001 წლის კოსმოსური ოდისეა“, „ლოლიტა“ და „ნათება“. ემპათიის არქონა რეჟისორთან მომუშავე მსახიობებისთვის ნამდვილ გამოცდად იქცა — იგი ხშირად იქცეოდა უხეშად, არ აინტერესებდა კოლეგების პრობლემები და შეუსრულებელ მოთხოვნებს უყენებდა მათ. სტენლი კუბრიკის აუტანელი ხასიათი საშინელი სტრესი იყო გარშემომყოფთათვის, რაც მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც კი აისახებოდა.

ბილ გეიტსი, MICROSOFT-ის ერთ-ერთი შემქმნელი

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი აუტისტია. იგი ძალიან უცნაურად იქცეოდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, არაჩვეულებრივი განათლება მიეღო, რაშიც მდიდარმა ნათესაობამაც დიდი მონაწილეობა მიიღო. მოზარდობის ასაკში იგი ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერების კითხვით იყო გატაცებული და სრულიადაც არ აინტერესებდა თანატოლებთან გართობა და სპორტული ასპარეზობები. გეიტსის ოჯახი დაპირისპირებასა და კონკურენციაზე იყო ორიენტირებული, რაც მომავალი მილიარდერის პიროვნებაზეც აშკარად აისახა. თორმეტი წლის მიღწევისთანავე იგი მიხვდა, რომ მომავალი პროგრამირებას ეკუთვნის...

ვუდი ალენი, ამერიკელი რეჟისორი, ოთხი „ოსკარის“ მფლობელი

ვუდი ალენს ბევრი უცნაურობა ახასიათებს და ბევრი ფობია აწუხებს, რაც იმით აიხსნება, რომ იგი აუტისტია. მას ეშინია ბავშვების, ძაღლების, სიმაღლის, მზის, მწერების, კიბოსი და... სიკვდილის. „სიკვდილი არ მინდა, — ხუმრობს ვუდი, — ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამ მოვლენის დროს იქ არ ვიყო!“

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ჩვენთვის ძვირფას ადამიანსა და ერთგულ მეგობარს, დავით ხარჩილავას ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წელთა სიმრავლეს, ულევ სიხარულსა და წარმატებებს.

დაე, მის ლამაზ ოჯახში მუდამ საგაზაფხულო და სადღესასწაულო განწყობა სუფევდეს.

„საერთო გაზეთი“


ალბერტ აინშტაინი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, პატორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია პატორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები პატორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99